# საკითხავი

№2 (641)
ოთხშაბათი
19 იანვარი,
2022წ.
ფასი 1.50 ლ.


## ირაკლი ღარიბაშვილის ისტორიული გადაწყვეტილება

საქართველოში
**მედიკამენტები გაიაფდება!**

## „პერედოზიროვკა“ სააკაშვილით

საქართველოს სააკაშვილით „პერედოზიროვკა“ ჭირს... ყველას ყელში ამოუვიდა ეს კაცი, მაგრამ რა ვქნათ, არ გვანებებს ეს ადამიანი თავს და გვაიძულებს, კვლავ და კვლავ მასზე ვწეროთ და ვილაპარაკოთ

## შეშლილთა ბანაკი

განაყოფიერებული „ნაცმოძრაობა“, პეტრე „კასტეტინსკი“, მოსრიალებული მელია და ნწუ, ნწუ, ნწუ!

## პუტინი მიშას გათავისუფლების მოთხოვნით შიმშილობას იწყებს?

## მწერლობის შეურაცხყოფა გრძელდება!

კომისიის წევრებს ვინ მისცა უფლება რუსთაველის პრემია კონკურენციის გარეშე, ჩაწყობით გასცენ



## რატომ ემუქრება დამფრთხალი მამაო „ქართულ ოცნებას“?

## მითების მსხვრევის ჟამი

**ნარკოტიკები** არა მარტო ადამიანებს, ბუნებასაც ღუპავს

**„საკითხავი“ – გაზეთი მოაზროვნე მკითხველისთვის**

## დავა ნაღარეიმვილი

# ლექსები

### ვარ ქართველი, ესე იგი...

მზე არავის
არ ემხრობა,
ყველა
მეფე
დაემხობა!!!
დაემხობა
კართაგენი!!!
ოსმალეთიც
დაემხობა!!!

დარუბანდის
კართან გელი,
არც —
სამშობლო...
არც —
მხედრობა...
ვარ ქართველი,
ესე იგი,
შემრჩა
ბრძოლის
თავხედობა!!!

### ერო ჩემო, მცხეთის კართან გამოდი!!!

მაგ სუფრიდან
    არაფერი აიღო!
მაგ სუფრასთან
    წუხელ გასცეს უფალი!
ქრისტეს მცნება
    ვინაც ყურად არ იღო,
არ ასცდება
    იუდას ნასუფრალი!
ზოგი მამლის
    ყივილამდე გიგანებს!
ზოგი ისევ
    ამჯობინებს ავაზაკს!
მე კი მხიბლავს
    შენი ზვრების სიგანე,
სიცოცხლე რომ
    ასე გამილამაზა!
გაიცინე,
    როცა გიმზერს ჯალათი!
გაიცინე,
    როცა უმზერ არქიფოს!
არაფერი
    დაიჯერო ამათი!
ოცდაათი ვერცხლიც
    ამათ ათქვლიფონ!
როგორ ახლოს
    მოფრენილან სვავები!
ეს კანკელიც
    შინაურმა დალეწა!
რატომ იტანს
    ფილაქანი სამების
ღვთის ტაძარში
    შემოპარულ გარეწარს?
ბუღა-თურქიც
    უნდა მკერდით გათელო,
თუ ცრემლები
    საქართველოს გამო გდის!
ეს მსტოვრებიც
    მოინელე, ქართველო!
ერო ჩემო,
    მცხეთის კართან გამოდი!!!

### მარადიული დამნაშავე!

ჩვენ გადავივლით
უამრავ ტრამალს
მივიწყებული
მთვარით, იებით...
თავდება
ჩემი ცხოვრების დრამა —
სავსე
ერთგული არითმიებით.

ვერ ამოვხსენი:
საიდან — საით?!
ვერ დავადგინე:
რატომ ან სანამ?!
ვარ ჩაკირული
აიდასავით,
არ გამიმეტა
თქვენმა სამსალამ.

ზეცა ფიფქებმა
გადააშავეს,
არ მეუბნება
არრას ფერია..
მარადიული
ვარ დამნაშავე
და ჩემი ბრალი
არაფერია!

### სიმღერა ერთიან საქართველოზე

ვიდრე მამულს ამჩნევია
ბუღა-თურქის ალიყური,
ვიდრე გულში ჩამრჩენია
ოსმალეთში გარიყული
ჩემი დიდი ივერია,
იმერი და ამიერი,
აფხაზეთში მიმღერია
ვიდრე მრავალჟამიერი;
ვიდრე ქართლის სანახებში
ყაყაჩონი მიკრეფია,
საინგილოს არტახებში
ვიდრე ჩემი ფიქრებია;
სვანეთიდან მომწყდარ „ლილეს“,
ვიდრე რწმენით ვეგებები,
ვიდრე ახსოვთ
ნისლის ფთილებს,
ფშავ-ხევსურთა ლეგენდები;
ვიდრე ჩემი მაჭახელა
ჭოროხსა და პონტოს ერთვის,
ლეჩხუმის და რაჭასხელა,
გულით გვლოცავს
ვიდრე ღმერთი;
ვიდრე მოჩანს მყინვარწვერი
იმერეთის ზეგნებიდან,
უძველესი მინაწერი
გვიხმობს ტაოს ძეგლებითა;
ვიდრე ისმის კვლავაც ჩქამი
დიდებული სამცხისაო,
არ დამდგარა ვიდრე ჟამი
ჯავახეთის მარცხისაო,
თუშეთი და მთიულეთი
ვიდრე აკვნის დამრწევია,
სამაჩაბლოს, მიუვლეთის,
ვიდრე ქარი დასწევია;
გურიაში ვიდრე გული
ისევ წინ-წინ იპარება,
ვიდრე კახეთს გადარგული
მზე მტევნებით იფარება;
ვიდრე ვხედავ სამეგრელოს
თვალხატულა ცირებითა,
ვიდრე მცხეთა გამგებელობს
სვეტიცხოვლის წირვებითა;
ვიდრე უფლის ტაძრის წინა
დიდი მეფის ხმალი გვიძევს...
„არ მომკვდარა,
მხოლოდ სძინავს
და ისევე გაიღვიძებს!!!“

### ბნელი წარვალს!

ქვესკნელიდან მონაბერი
გადალეწავს ქარი ალვას...
ნუ გეშინინ, მოწამეო:
ბნელი წარვალს!
ბნელი წარვალს!

იქნებ ქარი გოლგოთაზე
უკვდავების მიმტანია...
აპატიე,
აპატიე
შენი სულის ლიტანია;

და თუ ქარმა,
და თუ ქარმა,
და თუ ქარმა დაგაშინა...
რა გინდოდა ასე მაღლა?!
ვინ გელოდა ცათა შინა?!

### ეი, ბიჭო, სამშობლოსთან არაფერი შეგეშალოს!

ღმერთმა ჭირი
    გვაშოროს და
შოთას ფრესკა
    არვინ შალოს...
ეი, ბიჭო, სამშობლოსთან
    არაფერი შეგეშალოს!
სხვამ არ თოხნოს
    ჩემი ყანა,
არც ჩონგური
    ჩემი თალოს...
მე ისეთი მგლები მყვანან,
    ალგეთს მტერმა
ვერ დათვალოს!

ალავერდში
    ვანთებ სანთელს,
იმ გმირების
    წასვლას ვნანობ, —
არტანუჯთან ვხვდები ხანძთელს,
რომ ფეხები ცრემლით ვბანო!

ბერი —
    თათრის ანაკუწი —
გვარიდებდა
    სისხლის კალოს...
ყველა დუშმანს, როგორც უწინ,
გზა თევდორემ გაუკვალოს!

ვინ აგაკრას
    აწი ზეცას,
გორგასლანის
    დიდო ფარო?
აქ აბჯარი მთასაც ეცვა,
აქ თამარი დედოფალობს!

ღმერთმა ჭირი
    გვაშოროს და
შოთას ფრესკა
    არვინ შალოს...
ეი, ბიჭო, სამშობლოსთან
არაფერი შეგეშალოს!!!

### ესენი ვინ არიან?!

მიპასუხე, ქართველო:
მამული ვინ არია?
სვეტიცხოვლის გამთლელო,
ესენი ვინ არიან?!

ხომ არ დაგვიწყებია
მწუხარება საბასი?
ომში ისევ წყდებიან
არაგველნი სამასი!

ქართველების აღმა ხნულს
მტრები დაღმა ფარცხავენ...
მკვლელს, ტაძარში დანახულს,
ანგელოზად რაცხავენ!

ნეტავი, არ მენახა
ღვთის ამდენი გამცემი...
ერო, ისევ შენა ხარ
ამ სატანის დამცემი!

სვეტიცხოვლის გამთლელო,
მამული ვინ არია?
მიპასუხე, ქართველო:
ესენი ვინ არიან?

# შეშლილია ბანაკი

## განაყოფიერებული „ნაცმოძრაობა“, პეტრე „კასტეტინსკი“, მოსრიალებული მელია და ნწუ, ნწუ, ნწუ!

მოკლედ, ერთი კაცი კედლებზე აკრავს ცარიელ ფურცლებს.

რა არისო? – ჰკითხეს.

პროკლამაციებიაო.

მერე, რატომ არაფერი წერიაო?

ყველამ იცის, რაც უნდა ეწეროსო.

მეც თითქმის იმ კაცის მდგომარეობაში ვარ, იდეაც კი მქონდა, გაზეთის ეს ფურცელი ცარიელი დამეტოვებინა, თქვენ ხომ ჩემზე უკეთესად იცით, „ნაცებზე“ რაც უნდა დავწერო?

რედაქტორმა თქვა, მთლად ცარიელი ფურცელი უხერხულია, მაგ პარტიაში ერთი კვირის წინ „ძირეული“ ცვლილებები რომ განხორციელდა, პოლიტსაბჭოს დირექტორად რუსეთის მოქალაქე კობა ნაყოფია რომ დაინიშნა და გენმდივნად კიდევ პანკისიდან (თავის დროზე) ნარკოტიკული საშუალებების შემომზიდავი პეტრე ცისკარიშვილი მიავლინეს, მაგაზე დაწერეო. სხვათა შორის, ეს ის პეტრეა, 2003 წლის 19 ნოემბერს პარლამენტში დავით საგანელიძეს სახეში „კასტეტი“ რომ ჩაარტყა და დროებით, სანამ საქმეს ჩაფარცხავდნენ, მიიმალა.

სანამ „ნაცმოძრაობის“ პოლიტსაბჭოს ახალ „უმფროსზე“, კობა ნაყოფიაზე მოგახსენებთ რამდენიმე „სმეშნოი“ წინადადებას, ჯერ პეტრეზე გეტყვით, „კასტეტის“ ტრიალის, მუშტის რტყმის, ნარკოტიკების შემოზიდვისა და ფულის კეთების გარდა კიდევ რა იცის? შეიძლება მითხრათ, მეტი რაღა უნდა იცოდეს, რაც დღეს საჭიროა, ყველაფერი სცოდნიაო, მაგრამ არც ეგრეა საქმე, თუ პეტრე „კასტეტინსკის“ ბიოგრაფიაში ჩავიხედავთ, ისეთ რაღაცებს აღმოვაჩენთ, შეიძლება მის მაგივრად გავწითლდეთ კიდევაც. არა, არ გეგონოთ, პეტრეს ბიოგრაფიაში ცუდი რამ ეწეროს, პირიქით, ისეთებია, უბრალოდ ვერ წარმოიდგენთ... აი, როგორ გითხრათ, ადამიანს რომ უყურებთ, მის საქციელს ხედავთ, მანერებს აკვირდებით, განათლებაში ეჭვი გეპარებათ და ამ დროს დავთარში სრულიად საპირისპირო რამეებია დაფიქსირებული, ეგ მომენტია: ბატონი ცისკარიშვილი დაიბადა 1974 წელს თბილისში. 1991 წელს კოლორადოში (აშშ) დაამთავრა ბასალტის საშუალო სკოლა. ესე იგი, დაიბადა, 6 წლის ასაკში წაიყვანეს კოლორადოში, 11 წელიწადი ისწავლა ბასალტის სკოლაში, შემდეგ 2 წელიწადში დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და სამართლის ფაკულტეტი. გაუგებარია, რანაირად დაამთავრა 5-წლიანი ფაკულტეტი 1991–1992 წლებში? მოკლედ, აქ რომ მორჩა, ისევ წავიდა აშშ-ში და ჩაირიცხა აუგსბურგის ინსტიტუტში, სადაც 4 წელიწადი იარა. 1998 წელს ისევ მობრუნდა სამშობლოში და დაამთავრა თბილისის საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტი მარკეტინგისა და კომერციის სპეციალობით, ხოლო 2002 წელს – თბილისის პოლიტიკური სწავლების სკოლა. თქვენი არ ვიცი და... მე კი მეჩვენება, რომ პეტრეს ყველა სასწავლებელი გადარბენით აქვს დამთავრებული, შეიძლება ყველა არც აქვს დამთავრებული და ზოგი გამოგონილია. მეტსაც გეტყვით, როგორც მისი ბიოგრაფიული დავთარი გვეუბნება, აშშ-ში სწავლის პარალელურად იყო კერძო რეპეტიტორი გეოგრაფიაში, ისტორიასა და რუსულ ენაში. გაიგონეთ? აშშ-ში ყოფნისას ბატონი პეტრე ბავშვებს ამზადებდა გეოგრაფიაში, ისტორიასა და რუსულ ენაში. რატომ რეპეტიტორობდა ოკუპანტის ენით, ეს ხომ მიუღებელი უნდა ყოფილიყო პროდასავლური ორიენტაციის ადამიანისთვის? არ ვიცი, აქ შეიძლება იყოს ჩამარხული ის ძაღლის თავი, რამაც დღეს „ნაცმოძრაობის“ გენმდივნად გაამწესა.

ახლა ისეთს გეტყვით, არ დაიჯერებთ, 1997 წელს პავლე კი არა და... პეტრე აშშ-ში რომ წავიდა და 1998 წელს რომ დაბრუნდა, პარალელურად მუშაობდა საქართველოს მრეწველობის სამინისტროში. ესე იგი, თან იქ იყო, თან სწავლობდა, თან აქ იყო და მუშაობდა. ახლა კი მთლად დაუჯერებელი – 1998–1999 წლებში პავლე კი არა და... პეტრე იყო სააქციო საზოგადოება „ქართუ ჯგუფის“ ფინანსური მენეჯერი.

წარმოგიდგენიათ? რომ არა შემდგომში „მოქკავშირი“ და „ტავარის“ გადმოზიდითვი სამუშაოები, შესაძლოა, პეტრე სულ სხვანაირი სულიერი ყოფილიყო... შესაძლოა, დავით საგანელიძეც გადარჩენილიყო ჩანაყბა-წარბის ახევას, „ქართუს“ კადრი ეგრე უხეიროდ არ მოიქცეოდა, უფრო წესიერად განაგრძობდა ცხოვრებას და უფრო ნორმალური თანამდებობაც ექნებოდა. ახლა ვინ არის, რას წარმოადგენს? ფაქტობრივად კობა ნაყოფიას მოადგილეა სულელური გადაწყვეტილებების ჭრილში. სხვათა შორის, სიტყვა „სულელურზე“ გამახსენდა, იყო დრო, პეტრე არა მხოლოდ დეპუტატობდა, ე.წ. ვარდების რევოლუციის შემდეგ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედაც დანიშნეს, კახეთში პრეზიდენტის რწმუნებულადაც ამუშავეს და 2006 წლიდან იყო სოფლის მეურნეობის მინისტრიც. ჰოდა, ერთ დღესაც, როცა პეტრე ჯერ კიდევ გუბერნატორობდა, ახმეტაში, სოფელ ხოდაშენში სააკაშვილმა მასთან ერთად დიდი ზარ-ზეიმით გახსნა ღვინის გამომშვები იტალიური კომპანია „ბადაგონი“. ისე მოხდა, შემდეგ, რამდენიმე თვეში სააკაშვილს თავში „შარიკი“ გადაუტრიალდა, როგორც ჩანს, იტალიელებმა ბიძამისი წილში არ ჩასვეს და ველურებივით მიცვივდნენ იმავე „ბადაგონში“, თურმე აქ ფალსიფიცირებული ღვინო გიკეთებიათ, ეს როგორ გაბედეთო? მაშინ პეტრე უკვე სოფლის მეურნეობის მინისტრი იყო, მისმა დაქვემდებარებულმა ბარბაროსებმა დაღვარეს ღვინო და თან გამოაცხადეს, ასეულობით ტონა გავანადგურეთ, კაცობრიობა გადავარჩინეთო. მოგვიანებით გაირკვა, თურმე 150 ლიტრი დაუღვრიათ მხოლოდ შავი პიარისთვის. მაშინ მართლაც მაგრად აზარალეს იტალიური კომპანია პეტრეებმა და პავლეებმა.

როგორც უფლებადამცველი ნანა კაკაბაძე ამბობდა ჯერ კიდევ „ნაციონალების“ ზეობის ხანაში, პეტრე ცისკარიშვილს ერთი „საინტერესო“ თანამდებობაც ჰქონდა – თუ ვინმეს ოპოზიციის წარმომადგენლებზე ოფისის ან ბინის მიქირავების შანსი გაუშნდებოდა, ნებართვა აუცილებლად პეტრესგან უნდა აეღო. მე ნამდვილად არ ვიცი, პოლიტიკურის გარდა კიდევ რა სარგებელი ჰქონდათ „ნაციონალებს“ ასეთი თანამდებობის შემოღების გამო, მაგრამ ფრიად საინტერესო რამ კი გახლავთ, ამას მხოლოდ „ნაციონალები“ თუ მოიფიქრებდნენ. ამას წინებზე სოციალურ ქსელში ვიდეო გავრცელდა, სადაც პეტრე ცისკარიშვილი „მოქალაქეთა კავშირს“ ახასიათებს... თურმე თავის დროზე ეს ყოფილა პროდასავლური და ნათელი მომავლით აღსავსე პარტია. გავიდა ცოტაოდენი დრო, მოცვივდნენ ე.წ. რეფორმატორები სერგეი ივანოვის დახმარებით ხელისუფლებაში და იგივე პარტია მათთვის მიუღებელი გახდა, იქ სულ შევარდნაძის ბებერი ძმაკაცები დომინირებდნენო, კორუმპირებულები და რაღაცნაირებიო, კლანურებიო. არადა, თვითონაც იქ იყვნენ, იქ გაიზარდნენ, იმათი მოწაფეები ერქვათ, იმათ ეტრფოდნენ, სანამ სააკაშვილმა ვიღაცების სახლების ფოტოები არ ააფრიალა. შეიძლება ეს ფოტოები საქართველოში გადაღებული არც იყო. ის მახსენდება, მოგვიანებით შევარდნაძეს რომ გაუვრცელეს, ბადენ-ბადენში (გერმანია) სასახლე აქვსო. რა ბადენი, რის ბუდენი, რომელი ჰელმუტ კოლიო? კითხულობდა მომსახურების ზონიდან გასული პრეზიდენტი, მაგრამ ვინ დაუჯერა? მოსახლეობა მაინც იძახდა: ნწუ, ნწუ, ნწუ-ო!

ავი ენები ამბობენ, პეტრემ იმდენი ფული იშოვა, „ნაცმოძრაობასაც“ კი აფინანსებსო. შეიძლება მან მართლაც იშოვა ბევრი ფული, არ გამოვრიცხავ, მაგრამ არ მგონია, იქით ვინმეს აფინანსებდეს, პირიქით, „ნაცმოძრაობას“ იმდენი მიაქვს ბიუჯეტიდან და „ნაცებს“ იმნაირი ბიზნესები აქვთ გაფურჩქნული მთელი საქართველოს მასშტაბით, იქით დააფინანსებენ პეტრესაც, ნაყოფიასაც, მელიასაც და ყვერიასაც. ოღონდ მერე უფრო მკაცრად მოსთხოვენ თემურა ძიას მიერ გაცემული დირექტივების შესრულებას. პერიოდულად იძახიან ხოლმე, კობა ნაყოფია „ნაცმოძრაობას“ აფინანსებსო, ამაზე მეცინება, რომელი ქველმოქმედი ეგ მყავს, უანგაროდ ვინმე დააფინანსოს? უდღეური ფილმი რომ გადაიღო საკაშვილმა აგვისტოს ომზე, ჰოლივუდელებს 20 მილიონი დოლარი რომ გაატანა, ეგ იყო, ვითომ ნაყოფიამ გადაიხადა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ათჯერ 20 მილიონი ამოიღო „მადნეულსა“ და „კვარციტში“, კიდევ სხვა ადგილებში, ყველაფერი რომ ჩამოვთვალო, შორს წაგვიყვანს, მისი „ქონებების“ თაობაზე ჩვენ წინა ნომრებში არაერთხელ დავწერეთ.

სხვათა შორის, ისეთი მუქთახორა დეპუტატი, როგორიც კობა ნაყოფიაა, ფაქტობრივად არ მოიძებნება ქართული პარლამენტარიზმის ისტორიაში. ერთადერთმა, შეიძლება, შალვა ნათელაშვილმა გადაუსწროს, მაგრამ ამას ოფიციალურად ბოიკოტი აქვს გაფორმებული. იმას არა, ის ყველა სიკეთით სარგებლობს და „გაკვეთილებზე“ არ დადის. ანალიტიკოსმა ირაკლი ლატარიამ ზუსტად გამოიკვლია ამ ადამიანის საქციელი და აღმოჩნდა, რომ 2012 წლიდან დღემდე საქართველოს პარლამენტში იყო 13783 კენჭისყრა. აქიდან, კობა ნაყოფია არ დასწრებია 13598 კენჭისყრას. ესე იგი, 99%-მდე აქვს გაცდენა. 2012 წლიდან დღემდე კობა ნაყოფიას 500 ათას (ნახევარი მილიონი!) ლარამდე აქვს აღებული პარლამენტის წევრის ხელფასი. რა გამოდის? კობა ნაყოფია საქართველოს ბიუჯეტიდან 10 წელი ანაზღაურებას იღებდა იმიტომ, რომ სამსახურში არ დადიოდაო? კითხულობს ლატარია და გაკვირვებული მხრებსაც იჩეჩავს.

დიახ, ბატონო ირაკლი, ეს ტიპი არასდროს იკლავდა თავს საზოგადო საქმეებით, არასდროს ესწრებოდა სხდომებს, არასდროს დაუწერია ერთი ინიციატივაც კი, არასდროს მისულა მიკროფონთან, მაგრამ მაინც სულ დეპუტატია და ხელფასსაც ბოლომდე ითვისებდა. ისე, ზოგიერთი ე.წ. ხელოვანი, მომღერალი ვენებს რომ იხსნის სააკაშვილისთვის, ამის დამსახურებაა, ეს უხდიდა კაი გვარიან ხელფასებს, ამის „კვარციტთან“ და „მადნეულთან“ იდგა ყოველი თვის ბოლოს ამათი რიგები. მაშ, მა რააა, მა რა გგონიათ, უანგაროდ იპრიწებიან მიხასთვის? 2012-ში ნაყოფიას „კვარციტი“ და „მადნეული“ ჩამოართვეს, მაგრამ როგორც ამბობენ, ეროვნული ზარაფხანა მაინც მაგის ხელშია, შვილი (ნიკოლოზი) კი დირექტორად უზის. მე არ ვიცი, რატომ და რისთვის უნდა გადასულიყო 1939 წელს შექმნილი ეროვნული ზარაფხანა კერძო პირების ხელში, ეს ხომ თითქმის სტრატეგიული ობიექტია?

მოდით, ამჯერად აქ დავსვათ წერტილი... ამ თემაზე საწერ-სალაპარაკო ძალიან ბევრია, ნაყოფია-ცისკარიშვილის „დაწინაურება-გადაადგილებით“ მაინც კარგი საქმე კეთდება, ისევ „ნაცმოძრაობა“ ფარჩაკდება. გამოგიტყდებით, მე ეს ძალიან მახარებს. აბა, პარტიის „უმფროსად“ რუსეთის მოქალაქე რომ გეყოლება, რომელიც რუსეთს აგინებს და პროდასავლელობას იბრალებს, სააკაშვილის ფანებს რის იმედი უნდა ჰქონდეთ? ასევე, პარტიის გენმდივნად რუსული ენის რეპეტიტორი რომ გეყოლება, პროევროპული ორიენტაცია რანაირად გაქვს? აი, ამაშია საქმე, ამხანაგებო!

**P.S.** ქართველებს იუმორში ბადალი არ გვყავს... როცა კობა ნაყოფია პოლიტსაბჭოს თავმჯდომარედ გაამწესეს, სოციალურ ქსელში იხუმრეს, „ნაცმოძრაობა“ განაყოფიერდაო. ამ პარტიის განაყოფიერებისა რა ვთქვი, თუ დაორსულდა, ეშმაკს გააჩენს, მაგრამ მაინც მოსწრებული ნათქვამია. საღოლ.

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

# „პერედოზიროვკა“ სააკაშვილით



**საქართველოს სააკაშვილით „პერედოზიროვკა“ ჭირს... მეც უკვე ყელში ამომივიდა ამ კაცზე წერა და ლაპარაკი, მაგრამ რა ვქნათ, არ გვანებებს ეს ადამიანი თავს და თავისი დემაგოგიური განცხადებებით და სასამართლოზე წარმოთქმული „მოხსენებებით“ გვაიძულებს, კვლავ და კვლავ მასზე ვწეროთ და ვილაპარაკოთ**

**ვახტანგ ხარჩილავა**

13 იანვარს სასამართლო პროცესზე სააკაშვილის საათნახევრიან გამოსვლას რომ ვუყურე, დავრწმუნდი: ეს კაცი ფიზიკურად აბსოლუტურად ჯანმრთელია, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველა ექიმი, რომელიც ირწმუნებოდა, რომ სააკაშვილი მძიმედ არის ავად – უსინდისოდ ტყუოდა.

ცხადია, უსინდისოდ ტყუოდნენ ცენტრ „ემპათიის“ ექიმებიც, ქალბატონი მარიამ ჯიშკარიანის ხელმძღვანელობით, პატიმრის მიმართ განხორციელებულ არაადამიანურ მოპყრობაზე, ფიზიკურ თუ ფარმაკოლოგიურ წამებაზე რომ ლაპარაკობდნენ და ათასგვერდიანი სკანდალური დასკვნის გამოქვეყნებით რომ იმუქრებოდნენ, სადაც დეტალურად იქნებოდა აღწერილი, თუ რა „ჯოჯოხეთი“ გამოატარეს ქვეყნის III პრეზიდენტი პენიტენციური დაწესებულებების გულქვა წარმომადგენლებმა და ამ დაწესებულებაში მოღვაწე სამედიცინო პერსონალმა.

ყალბმისმქნელი ჯიშკარიანის „მედბრიგადის“ ყალბ დასკვნებს ერთი-ერთში იმეორებდნენ ფსევდოსახალხო დამცველის ნინო ლომჯარიას მიერ შეკოწიწებული სამედიცინო კონსილიუმის წევრებიც და ყველაფერი ეს, ერთად შეკრებილი და „ნაცმოძრაობის“ სამი ჯიბის ტელევიზიის მიერ ერთ ხმაში გაპიარებული ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიდა, თითქოს „ქართული ოცნების“ „სადისტი“ ხელისუფლება მოშიმშილე ადამიანს სასტიკად აწამებდა და ნელნელა კლავდა.

აი, ასეთი ყალბი ინფორმაცია მიეწოდებოდა არამარტო საქართველოს მოსახლეობას, არამედ საერთაშორისო საზოგადოებას, ჩვენი მეგობარი და პარტნიორი სახელმწიფოების ადმინისტრაციებს, აშშ-ის კონგრესს, ევროპარლამენტს, ადამიანის უფლებადამცველ ავტორიტეტულ ორგანიზაციებს, რაც იყო პირდაპირი და მიზანმიმართული მცდელობა, სერიოზული ზიანი მიდგომოდა ქართული სახელმწიფოს საერთაშორისო პრესტიჟსა და იმიჯს.

ხომ არ დადგა დრო, ქართულმა სახელმწიფომ სისხლის სამართლის საქმეები აღძრას იმ ორგანიზაციებისა და იმ ექიმების წინააღმდეგ, რომლებიც მიზანმიმართულად, წინასწარი განზრახვით ქმნიდნენ ყალბ სამედიცინო დასკვნებს, რომ შეცდომაში შეეყვანათ როგორც ქართველი, ასევე საერთაშორისო საზოგადოება და ამით საშუალება მიეცათ მსჯავრდებული სააკაშვილისთვის, თავი აერიდებინა და დროზე ადრე გათავისუფლებულიყო სასჯელის მოხდისაგან?

იქნებ, ექიმების ამგვარი პროვოკაციული ქმედება არ შეიცავს სისხლის სამართლის ნიშნებს და მე ტყუილად ვამტვრევ ღია კარებს, თუმცა აქვე ვიკითხოთ:

თუ ყალბი ზედნადების დამზადება დანაშაულია, რატომ არ არის ყალბი სამედიცინო დაკვნის დამზადება დანაშაული, მით უმეტეს, როცა ამ ყალბი დასკვნის შედეგად სახელი უტყდება ამა თუ იმ სახელმწიფო ინსტიტუციას, მთლიანად სახელმწიფოს, სახელმწიფო მოხელეებს, ცალკეულ პერსონებს.

ამ კონკრეტულ შემთხვევას რომ თავი დავანებოთ, რატომ არის ზოგადად ქართული სახელმწიფო ასე დაუცველი ცილისმწამებლების, პროვოკატორების, პოლიტოკოსად წოდებული ავანტურისტების, ათასი ჯურის ენჯეოების უწყვეტი შეტევებისგან, რომლებიც მუდმივი არასტაბილურობის და ქაოსის ატმოსფეროს ქმნიან და ხელს უშლიან ქვეყნის წინსვლას და განვითარებას.

რატომ წაუთაქებენ ხოლმე თავში ქართულ სახელმწიფოს ასე არხეინად ფსევდოპოლიტიკოსები, ფსევდოჟურნალისტები, ფსევდო სამოქალაქო აქტივისტები, უცხო ქვეყნების აგენტობაში ეჭვმიტანილი ნაძირლები, ვეტერანი თაღლითები, ხაზინის ქურდები და რატომ არავინ სთხოვს პასუხს ამ ამაზრზენ „შანტრაპას“ ამგვარი „ცელქობისთვის“?

●

როგორც წერილის დასაწყისში ვთქვი, ამ სასამართლო პროცესებზე გამოსვლების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მტკიცედ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მიხეილ სააკაშვილი შესანიშნავ ფიზიკურ ფორმაშია და მას ნაშიმშილევის და, მით უმეტეს, ნაწამების არაფერი ეტყობა.

თუმცა შეიძლება სწორი იყოს მისი პირადი ექიმისა და ასევე სხვა ექიმების დიაგნოზი, რომ სააკაშვილს სერიოზული პრობლემები აქვს ტვინში, რაც მის „საეტაპო მოხსენებებშიც“ ძალიან ნათლად ჩანს.

თუმცა, როგორც ცნობილია, სააკაშვილს ტვინი ბავშვობიდანვე აქვს დაზიანებული და მის გაგიჟებაში „ქართული ოცნების“ დადანაშაულება დიდი უსამართლობაა.

ამ ადამიანს რომ სერიოზული ფსიქიატრიული მკურნალობა სჭირდება, მართალია, მაგრამ ტყუილია ის, რომ ამ ავადმყოფობას საქართველოში ვერ მკურნალობენ, თორემ სხვაგან არჩენენ.

საუბედუროდ, ამ ავადმყოფობას ვერც საქართველოში მკურნალობენ და ვერც სხვაგან — ეს ავადმყოფობა არ იკურნება!

ამასწინათ ორი წლის წინანდელი დოკუმენტური კადრები აჩვენა „მთავარმა“ სააკაშვილზე — ნამდვილი შეურაცხადია, გიჟის თვალებით, გიჟის ჟესტიკულაციით, საუბრის მანერით.

გვერდით კახა თარგამაძე უზის და ვერ აჩერებს.

აბსოლუტურად იგივეა, რაც არის დღეს, ოღონდ უფრო ახალგაზრდაა.

წლებმა ვერ შეცვალა ეს კაცი, ვერ დაადინჯა, ვერ მოაჭკვიანა, ვერ დააბრძენა. იმიტომ, რომ იმ ავადმყოფობას, რომელიც ამ კაცს ჭირს, წლები ვერ კურნავს.

**შეგეშალა, საქართველოვ, ძალიან შეგეშალა — 2004 წელს შეურაცხადი ადამიანი აირჩიე პრეზიდენტად და ეს შეცდომა დიდ უბედურებად მოგიტრიალდა უკან.**

ერთხელ კი არა, ორჯერ შეგეშალა, ახლა მესამედაც უნდათ, რომ შეგეშალოს და ღმერთმა ნუ ქნას და ეს რომ მოხდეს, მაშინ უკვე ნამდვილად ვერ გადარჩები და, კაცმა რომ თქვას, არც იქნები გადარჩენის ღირსი.

●

სააკაშვილს რომ ჰკითხო, იურისტია, თანაც მაღალკვალიფიციური იურისტი, თუმცა როგორ და რანაირად შეიძლება იყოს იურისტი ადამიანი, რომელსაც ჰგონია, რომ თუ ოდესღაც რაღაც კარგი საქმე გააკეთა, ეს კარგი საქმე ანულებს და აბათილებს სხვა დროს ჩადენილ დანაშაულებს.

ის ხშირად ჩამოთვლის მისი პრეზიდენტობის დროს გაკეთებულ საქმეებს და ჰგონია, რადგან ეს საქმეები მისი პრეზიდენტობის პერიოდს უკავშირდება, ეს მას გარკვეული ხელშეუხებლობის სტატუსს ანიჭებს და იმ დანაშაულებისთვის, რაც ამ კარგი საქმეების პარალელურად ჩაიდინა, პასუხი არ უნდა აგოს.

მსგავსი რამ მართლმსაჯულების კანონებს რომ ექვემდებარებოდეს, მაშინ ადოლფ ჰიტლერს, რომელმაც ეკონომიკურად გაჩანაგებული გერმანია რამდენიმე წელიწადაში ევროპაში ყველაზე ძლიერ, ყველაზე წარმატებულ სახელმწიფოდ აქცია, ყველა დანაშაული ჩამოეწერებოდა.

ეს ჩვენ, „გოიმ“ ქართველებს, გვაბოლებენ თავიანთი მოკლე ჭკუით თავად „გოიმი“ ნაციონალები და ჩვენს იმაში დარწმუნებას ცდილობენ. თითქოს მთელ მსოფლიოში არსად არ მომხდარა და მხოლოდ საქართველოში მოხდა, რომ უმადურმა ქართველებმა ყოფილი პრეზიდენტი დაიჭირეს, მიუსაჯეს და ციხეში ჩასვეს, არადა, მხოლოდ მეოცე და ოცდამეერთე საუკუნეში ასამდე პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი და უმაღლესი თანამდებობის სხვა პირები იქნენ გასამართლებული და სხვადასხვა დროით საპყრობილეებში მოთავსებული.

სამწუხაროდ, ზოგიერთი მათგანი სიკვდილითაც კი დასაჯეს.

რატომ ჰგონიათ სააკაშვილს და მის მხარდამჭერებს, რომ ისინი სააკაშვილზე ნაკლები ბიჭები იყვნენ ან მხოლოდ ბოროტებას სჩადიოდნენ?

ყველა მათგანს უამრავი კარგი საქმე ჰქონდა გაკეთებული თავისი სახელმწიფოსთვის, მაგრამ სასამართლო პროცესებზე არავის მოსვლია აზრად, ამის გამო მათზე სისხლის სამართლის დევნა შეეწყვიტა და სასამართლო დარბაზიდან გაეთავისუფლებინა, როგორც ამას სააკაშვილი მოითხოვს.

საილუსტრაციოდ გთავაზობთ მხოლოდ მცირე ჩამონათვალს პრეზიდენტებისა და პრემიერებისა, რომლებიც XXI საუკუნის ბოლო ოცი წლის განმავლობაში ციხეებში მოხვდნენ.

საფრანგეთის ექსპრეზიდენტი **ნიკოლა სარკოზი** თავისი წინასაარჩევნო კამპანიის არალეგალურ დაფინანსებაში დაადანაშაულეს. ვერდიქტი ჯერ კიდევ 2021 წლის გაზაფხულზე გამოიტანეს, მაგრამ მისი ციხეში ჩასმა სწორედ ახლა გადაწყდა.

2011 წლის დეკემბერში პარი-

ზის სასამართლომ ექს-პრეზიდენტ **ჟაკ შირაკს** ორი წლით პირობითი სასჯელი შეუფარდა პარიზის მერად მუშაობის პერიოდში სამუშაო ადგილების ხელოვნურად შექმნის გამო.

იტალიის პრემიერ-მინისტრი **სილვიო ბერლუსკონი** 2012 წლის შემოდგომაზე დამნაშავედ ცნეს დიდი ოდენობით გადასახადების დაფარვაში და ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

პანამის დიქტატორს **მანუელ ნორიეგას** 1992 წელს 40 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

20 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდეს ნიკარაგუას პრეზიდენტს **არნოლდო ალემანს**.

ფილიპინების პრეზიდენტს, **ჯოზეფ ესტრადას** ბრალდებად წაუყენეს დიდძალი თანხების

ლავრენტი ბერია

კანდიდ ჩარკვიანი

აკაკი მგელაძე

მიტაცება და სამუდამო პატიმრობა მიესაჯა.

რუანდის პრეზიდენტს **პასტერ ბიზიმუნგუს** 2004 წელს 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს სახელმწიფო სახსრების გაფლანგვის გამო.

პერუს პრეზიდენტს **ალბერტო ფუჯიმორს** 2007 წლის 11 დეკემბერს 6 წელი ციხე მიესაჯა, 2009 წლის აპრილში — 25 წელი „სიკვდილის ესკადრონის“ შექმნისთვის.

2011 წელს 7 წლით პატიმრობა მიესაჯა ისრაელის პრეზიდენტს **მოშე კაცავს**.

ვასილ მჟავანაძე

ედუარდ შევარდნაძე


ჯუმბერ პატიაშვილი

2011 წელს ლიბერიის პრეზიდენტს **ჩარლზ ტეილორს** 50 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა საერთაშორისო სასამართლომ სიერა-ლიონეს მშვიდობიანი მოსახლეობის მკვლელობაში, წამებაში და მათ მიმართ ჩადენილი დანაშაულებისთვის.

2013 წელს ეგვიპტის პრეზიდენტ **მოჰამედ მურსის** სასიკვდილო განაჩენი სამუდამო პატიმრობით შეუცვალეს. ის 2019 წელს გარდაიცვალა სასამართლო მოსმენების დროს.

ციხეში მოხვდა მისი წინამორბედი **ხოსნი მუბარაკიც,** რომელიც „არაბული გაზაფხულის“ შედეგად ჩამოაგდეს. მას სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს.

2016 წლის მარტის დასაწყისში დააკავეს ბრაზილიის პრეზიდენტი **ლულა ინასიუ ლულო და სილვა**. სილვას კორუფციისა და ფულის გათეთრების გამო 9,5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

2018 წლის აპრილში 24 წლით პატიმრობა მიესაჯა სამხრეთ კორეის პრეზიდენტს **პაკ კინ ხეს**.

მისი ბედი გაიზიარა სამხრეთ კორეის კიდევ ორმა პრეზიდენტმა.

კორუფციის ბრალდებით თანამდებობიდან წასვლის შემდეგ დააკავეს **რო დე უ**. მას 22 წლით ციხე მიესაჯა და **ნო მუ ხიონი,** რომელიც 6 მლნ დოლარი ქრთამის აღებაში დაადანაშაულეს. ამ უკანასკნელმა თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე.

გვატემალის პრეზიდენტი **ოტო პერეს მოლინა** კორუფციული სქემის შექმნის ბრალდებით დაპატიმრეს. ის ახლა სასამართლო პროცესის დასრულებას ელოდება.

2019 წლის 27 ივნისს ყირგიზეთის პრეზიდენტს **ალმაზბეკ ატამბაევს**. მიესაჯა 11 წლითა და 2 თვით თავისუფლების აღკვეთა ქონების კონფისკაციით.

ისრაელის პრემიერ-მინისტრი **ეხუდ ოლმერტი** მუდმივად პროკურატურის ინტერესს იწვევდა. გამომძიებლები იძიებდნენ მის მონაწილეობას ბანკების პრივატიზაციაში, შემცირებული და ფასით ბინის შეძენაში. ისრაელის პრემიერ-მინისტრ ეხუდ ოლმეტს 2014 წელს ექვსი წლით პატიმრობა და დიდი ჯარიმის გადახდა მიესაჯა.

სომხეთის ყოფილ პრეზიდენტს **რობერტ კოჩარიანს** 15 წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

აი, ასეთია დრამატული ხვედრი იმ პრეზიდენტებისა და პრემიერებისა, რომლებსაც კანონთან და სამართალთან რაღაც შეეშალათ და ამის გამო სათანადოდ დაისაჯნენ კიდეც, თუმცა არ მსმენია, რომელიმე მათგანს შიმშილობა გამოეცხადებინა, ან ხელ-ფეხის ფხარკალი დაეწყო და ისტერიკაში ჩავარდნილს საკუთარი ფეხით გადაადგილებაზე უარი ეთქვა.

ისინი იქცეოდნენ ღირსეულად, ისე, როგორც უნდა იქცეოდეს პრეზიდენტი თუ პრემიერ-მინისტრი, გნებავთ, ნებისმიერი ღირსეული ადამიანი განსაცდელისა და ძნელბედობის ჟამს.

ღირსება — როგორ დავივიწყეთ ადამიანის ყველა კეთილშობილური თვისების ერთად შემკრები ეს დიადი სიტყვა საქართველოში, ოდესღაც ღირსეული კაცებისა და ღირსეული ქალბატონების ქვეყანაში.

როგორ ვულგარულად და უღირსად, მაპატიეთ გამოთქმისთვის და, „ბაცანასავით“ იქცევა ზოგიერთი ჩვენი პოლიტიკოსი, ინტელიგენციის წარმომადგენელი, ჟურნალისტი, სამოქალაქო აქტივისტი, რიგითი მოქალაქე, ამა თუ იმ პარტიის მხარდამჭერი, როგორ იწყევლებიან, როგორი სიტყვებით იგინებიან სოციალურ ქსელებში ქალები, ქართველი მანდილოსნები.

აი, ასეთ საგანგაშო და ზნეობრივ ერთი, რასაც შენ შენს თავზე იბრალებ, იუძგარ, თითქმის ყველაფერი ბიძინა ივანიშვილის დაფინანსებულია და მეორეც — თუ მართლა რამე გააკეთე, რატომ ამოგვიყვანე ყელში და რას იყვედრები ყოველ ფეხის ნაბიჯზე?

**დაწყებული ლავრენტი ბერიადან, გაგრძელებული კანდიდ ჩარკვიანით, აკაკი მგელაძით, ვასილ მჟავანაძით, ედუარდ შევარდნაძით, ჯუმბერ პატიაშვილით, მერე ისევ შევარდნაძით, ყველამ რაღაც ძალზე ღირებული და მნიშვნელოვანი გააკეთა ამ ქვეყნისთვის, არაფერს ვამბობ ბიძინა ივანიშვილზე, რომლის ამაგი საქართველოზე მილიარდებით იზომება, მაგრამ არავის უკადრია, ქართველი ხალხისთვის ვინმეს რამე დაეყვედრებინა.**


ნიკოლა სარკოზი

სილვიო ბერლუსკონი

მოშე კაცავი


ჰოსნი მუბარაქი


მანუელ ნორიეგა


რობერტ ქოჩარიანი

დაყვედრებული სიკეთე სიკეთე კი არა ანგარებაა.

ან დასაყვედრებელი რა გვჭირს — მილიარდები იშოვეს ცალ-ცალი კალოშით მოსულმა ნაციონალებმა ჩვენს ხარჯზე და კიდევ ჩვენ გვედიდგულებიან ეს უნამუსოები?

ღირსებაზე რომ ვლაპარაკობდი ზემოთ, დამავიწყდა მეთქვა და უნდა ვთქვა: 13 იანვრის სასამართლო პროცესზე ტრაილერის მძღოლი ცომაია უფრო ღირსეულად იქცეოდა, ვიდრე სააკაშვილი.

დიახ, იმ დღეს ტრაილერის მძღოლი ცომაია უფრო ჰგავდა პრეზიდენტს, ვიდრე პრეზიდენტი სააკაშვილი...

●

— ესენი ვინ არიან საერთოდ? ეს შენობა ჩემი აშენებულია და შენ ვინ ხარ, მე რომ მასამართლებ? — თვალები დაუბრიალა სააკაშვილმა ქალბატონ მოსამართლეს, რომელიც თვალების დაბრიალების გარეშეც საკმაოდ დამფრთხალი ჩანდა და ენადგაკრეფილ სააკაშვილს ვერ აჩერებდა.

სააკაშვილი სასამართლო პროცესზე კი არ იყო თითქოს, ტყემალზე იჯდა და ბლის კურკებს ისროდა ხან ერთი, ხან მეორე მიმართულებით.

ამ პროცესის შემყურე კიდევ ერთხელ დავრწმუნდი: ამ კაცს ძალიან ცუდი წარმოდგენა აქვს ქართველ ხალხზე — ჰგონია, რომ მისი ყალბი პათეტიკით გაჟღენთილი დემაგოგიური და ფარისევლური „რეჩებით“ ყველას გაასულელებს, მერე ეს გასულელებული ხალხი ერთად იხუვლებს და „დატყვევებულ“ მიშიკოს საკნის კარებს გაუღებს.

ტყუილად გაქვთ თქვენ ამის იმედი, პატივცემულო, თქვენს მიერ გასულელებული ადამიანების რაოდენობას კი არ ემატება, აკლდება და აკლდება.

ის კი არა, თქვენ რომ უკვე ბოლომდე გამოსულელებულები გგონიათ, მათი უმრავლესობაც ძალად ისულელებს თავს სხვადასხვა „საპატიო“ მიზეზის გამო, თორემ შესანიშნავად იციან, რა ხვითოც არის ეს შავ ვარსკვლავზე დაბადებული სააკაშვილი, რომელმაც თვითონ გაიშარჟა თავი და თვითონ შეძვრა იმ ხვრელში, საიდანაც ახლა ამაოდ ცდილობს გამოფორთხვას.

რაც უფრო მეტს „იბლატავებს“ სააკაშვილი და რაც უფრო მეტს გალანძღავს „ქართულ ოცნებას“, მით უფრო მატულობს შანსი, ერთ მშვენიერ დღეს ამ „სანთელივით“ კაცს, ამ „უმწიკვლო“ არსებას წინ დაულაგონ მის მიერ ჩადენილი დანაშაულების ამსახველი ტომეულები და მისი ყოყლოჩინობა და მამლაყინწობა ამით დაამთავრონ.

დროზე ქენით ეს საშვილთაშვილო საქმე, პატივცემულო ხელისუფლებავ, რომ ამ ცუდად ახუნტრუცებულმა კაცმაც დაისვენოს და ქვეყანამაც.

ეს თუ მოხდება, ბოლოსდაბოლოს, მეც დავისვენებ და ჩემს მიტოვებულ ლექსებს მივხედავ, თორემ უკვე სააკაშვილით „პერედოზიროვკა“ მჭირს...

# ᲛᲘᲗᲝᲑᲘᲡ ᲛᲡᲮᲕᲠᲔᲕᲘᲡ ᲟᲐᲛᲘ

*გვესაუბრება*
*პოლიტოლოგი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი*
*ᲕᲐᲟᲐ ᲨᲣᲑᲘᲗᲘᲫᲔ:*

**— ბატონო ვაჟა, ჩვენს სამეზობლოში საკმაოდ დაძაბული ვითარებაა. როგორ აისახება ყოველივე საქართველოზე, რა საფრთხეებს უნდა ველოდოთ?**

— პირველ რიგში, მინდა „საერთო გაზეთის“ მკითხველს ახალი წელი მივულოცო — ჩვენს ქვეყანას, ხალხს მშვიდობიანი, აღმშენებლობის, ბევრი ახალი მიღწევისა და წარმატების წელი ვუსურვო. დადგა დრო სხვაგვარად ვიცხოვროთ და პრობლემებსაც სხვა კუთხით მივუდგეთ. იმდენი სირთულის წინაშე ვართ, რომ შეუძლებელია ცხოვრება ისევ არხეინად გავაგრძელოთ. ყველა ქართველმა უნდა გაითავისოს: დღეს, უკიდურესად, მძიმე მდგომარეობაში ვართ როგორც ეკონომიკურად, ისე პოლიტიკურად, სამხედრო თვალსაზრისით, მათ შორის, ტექნოლოგიურადაც. ბრძოლა ყველა ფრონტზე, ერთდროულად, გვიწევს.

რაც შეეხება სამეზობლოს, დღეს, მსოფლიო იმდენად გლობალიზებულია, რომ აფრიკაში მომხდარმა მოვლენამაც შეიძლება საქართველოში ჰპოვოს გამოძახილი. მით უმეტეს, ყაზახეთის ამბებმა, რომელიც ჩვენგან შორს სულაც არ არის. საერთოდ, პოსტსაბჭოთა სივრცე სწრაფი ცვლილებების არეალია, სადაც ყოველდღიურად ისეთი რაღაცები ხდება, რასაც აქამდე, ადგილი არ ჰქონია. ამიტომ, მოვლენების განვითარებას კარგად უნდა დავაკვირდეთ და სწორი ანალიზის, დასკვნების გამოტანა შევძლოთ. პირველ რიგში, საქართველოს მთავრობამ უნდა იზრუნოს, რათა ნორმალური ანალიტიკოსები ჰყავდეს, ვინც ეტყვის: რეალურად, რა ხდება მსოფლიოში ჩვენს გარშემო. რაც შეეხება, ყაზახეთში განვითარებულ პროცესებს.

ბუნებრივია, მასზე თვალი ბევრ მტაცებელს უჭირავს. ყაზახეთთან ყველაზე ახლოს რუსეთი და ჩინეთი მდებარეობს. ამიტომაც, პირველ რიგში, მას თვალი ამ ორმა მტაცებელმა დაადგა. საინტერესო მომენტი თუ როგორ იცვლება სიტუაცია — ყველას ეგონა, რომ რუსეთის გავლენის სფერო შუააზია და პოსტსაბჭოთა სივრცე იყო, თუმცა, ასე არ ყოფილა. რუსეთმა მომენტით ისარგებლა და ყაზახეთში, დაუყოვნებლივ, ოდეკაბეს ჯარები შეიყვანა, მაგრამ სულ ტყუილად, არაფერი გამოუვიდა. რუსები გამოიყენეს — სიტუაცია დაალაგებინეს. არავის ეგონა, რომ რუსეთი ყაზახეთიდან ასე კუდამოძუებული წამოვიდოდა მაშინ, როცა დიდ გეგმებს ალაგებდა.

ფაქტობრივად, ჩინეთმა რუსეთი აიძულა ყაზახეთი ოდეკაბესთან ერთად ორ დღეში დაეტოვებინა. ფაქტობრივად, ცენტრალურ აზიას ახალი ჰეგემონი — ჩინეთი მოევლინა, რომელიც რუსეთს ამერიკის წინააღმდეგ აქეზებდა. ჩინეთმა კარგად გათვალა შემდეგი: რუსეთს უკრაინაში ძალიან დიდი პრობლემები აქვს, მის საზღვართან ჯარი ჰყავს მიყენებული და ორ ფრონტზე საომრად არ სცალია, ამიტომაც, მას ყაზახეთიდან აბარგება მოსთხოვა. რუსეთიც იძულებული გახდა ტერიტორია დაეტოვებინა. ფაქტობრივად, ყაზახეთის დაკარგვა ნიშნავს, რომ ცენტრალური აზიაზეც ხელს ააღებინებენ. აქვე, გამორიცხული არ არის, მსგავსი, გამოსვლები თურქმენეთშიც, უზბეკეთშიც მოეწყოს, სადაც ჩინელები თავის სათქმელს იტყვიან. ეს მოსალოდნელიც იყო — ჩინეთს ყაზახეთში 80 მილიარდი ჰქონდა დაბანდებული და ამ ფულს არავის შეაჭმევინებდა. ანუ, ვინც დახარჯა, ვინც მუსიკა შეუკვეთა, მან უნდა იცეკვოს. ცენტრალურ აზიას, ჩინეთის სახით, ახალი მბრძანებელი მოევლინა თუ რა თქმა უნდა, მხოლოდ ამას დასჯერდა და ხელი სხვა ტერიტორიებისკენაც არ გაიწვდინა. პირველ რიგში, ეს ტერიტორია ციმბირია, რომლის დაპატრონების სურვილს ჩინეთი არც მალავს. მას ციმბირის ათვისება უნდა. ჩინეთი ძალიან კარგად სარგებლობს რუსეთის პრობლემებით, პირველ რიგში, ეკონომიკური ჩამორჩენილობით. რუსეთი ყაზახეთსა და უკრაიანს შორის ორ ფრონტზე იყო გახლართული. ახლა, ფაქტობრივად, მან თავი გამოითავისუფლა, სამაგიეროდ, ყაზახეთი დაკარგა.

**— რა ვითარებაა უკრაინასთან მიმართებით, რომლის საზღვართანაც რუსეთმა დიდძალი სამხედრო ძალის კონცენტრაცია მოახდინა და იქ, შეჭრით იმუქრება?**

— უკრაინასთან მიმართებით, უფრო რთული სიტუაციაა, მაგრამ ერთი რამ არის: შარშან, რუსეთმა 100-ათასიანი ჯარი მიაყენა უკრაინას. ყველა ამბობდა: რუსეთი უკრაინას ერთ კვირაში აიღებსო. მე კი, ვაცხადებდი: ვერ გაბედავსმეთქი. როგორ ფიქრობთ, რატომ ვერ გაბედა მაშინ უკრაინაში შეჭრა? — უმძიმესი ეკონომიკური სანქციების შიშით. მას მერე, წელიწადი გავიდა, რუსეთი სულ იმუქრება. შარშან, მოულოდნელობის ეფექტი იყო, ახლა კი, ერთი წლით ადრე რომ აფრთხილებ ქვეყანას, უნდა დაგიპყროო, ბუნებრივია, იგი მოემზადება. მით უმეტეს, შარშან, დასავლური სამყაროდან უკრაინას 700 მილიონი დოლარის დახმარება გაეწია. დეკემბერში კი, დამატებით, 200 მილიონი გამოუყვეს, ჰლუს, წელს უკრაინას კიდევ 300 მილიონი ეკუთვნის. უკრაინას თავდაცვითი სისტემებითაც აიარაღებენ — ჯაველინებით, პეტრიოტებით. რუსებს ამ დონის თავდაცვითი სისტემები არ ჰყავთ. უკრაინას თავად ჰყავს 250-ათასიანი არმია. რუსეთმა უკრაინა რომ აიღოს, 700–800-ათასიანი არმია დასჭირდება, თან, დანაკარგი საკმაოდ დიდი იქნება. 150 ათასი ჯარისკაცით უკრაინას ვერ აიღებს. კი ბატონო, შეიძლება პროვოკაციები მოაწყოს, ზიანი მიაყენოს, შენობები დაანგრიოს, მაგრამ სხვას ვერაფერს შეძლებს, რადგან მაშინვე, ის ჯოჯოხეთური სანქციები ამოქმედდება, რაც დაგეგმილია რუსეთის დასახრჩობად. ეკონომიკური სანქციები გაზსა და ნავთობზე ემბარგოს დაწესებას გულისხმობს. ანუ, რუსეთისთვის „ჩრდილოეთის ნაკადი-2“ ხომ ეგრევე დასრულდება. ხარჯი რაც რუსეთმა მის გასაკეთებლად გასწია, წყალში ჩაიყრება. ჰლუს, რუსეთი ვერც ნავთობს გაიტანს, ვერც გაზს და შეიძლება ოქროც ვერ გაყიდოს. ტრილიონი დოლარი, რაც დასავლეთის ბანკებში რუს ოლიგარქებს აქვთ დაბანდებული, დაიკარგება. ეს დიდი რისკია. არ არის გამორიცხული პუტინი თავად ოლიგარქებმა მოიშორონ.

დღეს უკრაინას დახმარება აქვს ისეთი, როგორიც არასდროს არავის ჰქონია. საქართველოს, მაშინ არაფერი მოახმარეს. ჩვენი ქვეყანა დახმარების ღირსად არ ჩათვალეს. მაგრამ 30-მილიონიანი უკრაინის გადაყლაპვას, უკვე, პუტინს არავინ აპატიებს. პუტინმა შეძლო ის, რაც ვერცერთი პრეზიდენტის დროს ვერ მოხერხდა — ნატოს 30-ივე ქვეყანა ერთ მუშტად გააერთიანა. მისი მეგობარი ქვეყნის პრეზიდენტებიც კი პუტინის ულტიმატუმის წინააღმდეგ გამოვიდნენ.

რაც შეეხება საქართველოს, პუტინს მისთვის, ახლა, არ სცხელა. ეს დიდი ამოსუნთქვის საშუალებაა. მას საქართველოში ლაშქრობა არ სჭირდება. ღმერთმა ნუ ჰქნას, უკრაინა დაიმორჩილოს. ალბათობა, 10–15%-ია. მაშინ, ჩვენც, ავტომატურად მისი გავლენის სფეროში დავრჩებით. ამ ეტაპზე, ისედაც, რუსეთის გავლენის ქვეშ ვართ იმიტომ, რომ პოლიტიკური ელიტის დიდი პროცენტი მოსკოვიდან იმართება, ყველა შემოსავლიანი ბიზნესი რუსეთის ხელშია. ეს, იგივე, პუტინის გავლენის სფეროში ყოფნას ნიშნავს. კი ვიძახით: ნატო, ნატოო, მაგრამ სინამდვილეში, პუტინის რეალური გავლენის ქვეშ ვართ. თუ რუსეთი დამარცხდა, ამოსუნთქვის საშუალება გვეძლევა. შედეგად, ნატოში შესვლაც რეალური გახდება და უკვე, ამ ზოზინს არავინ გვაპატიებს, რასაც თუნდაც მმართველი პარტია აკეთებს: „ქართულმა ოცნებამ“ არ გვაღირსა სამართლიანი სასამართლო, არ ატარებს რეფორმებს, არ იჭერს იმას, ვინც დასაჭერია ანუ, აგენტურას, რომელმაც 2008 წელს რუსეთს ქვეყანა და მთელი ეკონომიკური სუბიექტები ჩააბარა. დღეს, ეს აგენტურა მხარგაშლილია და ციხეში ჯდომაც არ სურთ, იქედან, თავის დაძვრენას ცდილობენ. მაგრამ ასე აღარ იქნება. აქ, პრორუსული ძალების, „ნაცების“ დაძირვა დაიწყება. მათ შორის, სერიოზულად აუწევენ ყურებს ზოგ ადამიანს, რომელიც, ვითომ, „ქართული ოცნების“ წევრები, სინამდვილეში კი, ღრმა „ნაცები“ არიან, ისინი, ფაქტობრივად, ავტორიტეტს უფუჭებენ როგორც მმართველ პარტიას, ისე ივანიშვილს. სერიოზული რეფორმები უნდა დაიწყოს. თუ ასე გააგრძელებენ, ამას უმწვავესი რეაქცია მოჰყვება.

**— ყაზახეთში პროტესტი სოციალურ საკითხს მოჰყვა...**

— ფორმალურად კი. ეს, უბრალოდ, საბაბი იყო. ჩვენთანაც იმატებს ფასები და უარესებიც ხდება. ამიტომ, მიზეზის მოძებნა ძნელი არ იქნება. აქამდე, ქართველი ხალხი ცდილობდა სოციალურ თემაზე აქტივობა არ გამოეჩინა, მაგრამ როცა იგი შიმშილის ზღვარზეა, აღარავის დაინდობს. წითელი ხაზები არ უნდა გადაიკვეთოს, თორემ, საზოგადოება აღარ მოითმენს.

**— თქვენ, აღნიშნეთ: რუსეთი უკრაინასთან კონფრონტაცია თუ წავა, ჩვენთვის, შეიძლება უკეთესი იყოსო. ნატოში გაწევრიანების საკითხი რეალური თუ გახდა, რუსეთს საპასუხო რეაქცია არ ექნება?**

— ყაზახეთის მოვლენებმა რამდენიმე მითი გააცამტვერა, მათ შორის, ლუკაშენკოს და ნაზარბაევის სიჭკვიანესთან დაკავშირებული, თურმე, თავიანთ ქვეყნებს მოუფრთხილდნენ და გაამდიდრეს. ამ მოვლენამ აჩვენა, რომ რუსეთს სათავისოდ ვერავინ მოატყუებს და გამოიყენებს. ან რუსეთის ვასალი უნდა იყო ან მისი მტრების ბანაკში აღმოჩნდე. ან რუსეთთან უნდა იყო, ან ამერიკასთან, ან ჩინეთთან. სააკაშვილიც გაიძახოდა: ნატო, ნატოო, მაგრამ ყველაფერი რუსებს ჩააბარა. ეს გარკვეული პიარ-სვლა, რუსეთის მოფიქრებული ტაქტიკაა, იძახო: ნატო, ევროკავშირი და ასე, მოაბეზრო ყველას თავი, პირიქით, შეაზიზღო. ეს ერთგვარი ხერხია ხალხს დასავლეთი, ნატო და დასავლური ღირებულებები შეაზიზღო. ნატოს ძახილი არ შველის, საქმე უნდა აკეთო.

ფაქტობრივად, ნატო, ნატოს ძახილით, უფრო აღმოსავლეთისკენ, რუსეთისკენ მივემართებით, ვიდრე ევროპისკენ. კონსტანტინე გამსახურდია ამბობდა: სამშობლოს სიყვარული მტკნარი ფიქციაა თუ მას თავკიდურად საქმე არ ახლავს. სამშობლოს ძახილით, იგი, უკეთესი და უფრო მდიდარი ვერ გახდება. ამიტომ, ცარიელი სიტყვების რახა-რუხს აზრი არ აქვს. ამ წუთას, სტაბილურად ჭაობში ვართ. ვიმეორებ, ქმედითი ღონისძიებებია გასატარებელი.

**— ბატონო ვაჟა, რას ფიქრობთ, 3+3 ფორმატში საქართველოს მონაწილეობაზე?**

— წარმოიდგინეთ, სამი მეათე კლასელი სამ მეხუთე კლასელთან საჩხუბრად რომ დატოვო, შედეგი რა იქნება? ირანთან, თურქეთთან და რუსეთთან, სომხეთი, აზერბაიჯანი და საქართველო რომ დატოვო, ეს როგორ დამთავრდება? 3+3 ფორმატი წმინდა რუსული პროექტია, რომელიც თურქებს გაახმოვანებინეს. როგორც ჩანს, დასავლეთი თურქებს იყენებდა. რუსებს ილუზიები გაუჩინეს. თურქეთი, მთლიანად, დასავლეთის ბანაკში დაბრუნდა. როგორ შეიძლება იქ შესვლა, სადაც ამერიკა და ევროკავშირი არ იქნება. ჩვენ, არცერთ ფორმატში რუსეთთან ერთი-ერთზე არ უნდა დავრჩეთ.

რუსეთი საქართველოში არ შემოვა, ხალხს სულ ტყუილად აშინებენ. ამერიკა რუსეთს ეკონომიკურად აჩოქებს. დასავლეთმა საქართველოს და უკრაინის მაგალითზე ერთი კარგი დასკვნა გააკეთა: არ შეიძლება რუსეთი ფეხზე წამოაყენო, თორემ, როგორც კი წამოიმართება, ისევ მადა გაუჩნდება. ფაქტობრივად, ის ტექნოლოგიები რასაც რუსეთი მოიხმარს გაზისა და ნავთობის მოპოვებაზე, არაფერს ნიშნავს. ამერიკამ მოახერხა ის, რომ დასავლეთ-ევროპა დაპრესილი გაზით უზრუნველყო. რუსეთმა გაზი საერთოდ რომ არ მიაწოდოს, ზამთარს გაიტანენ. ეს უდიდესი გარღვევაა. რუსეთს, ფაქტობრივად, დასავლეთ-ევროპის გაზის მარაგი წაართვეს.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# პუტინი მიშას გათავისუფლების მოთხოვნით შიმშილობას იწყებს?



— მიშა პუტინის ტყვეა! მიშა პუტინის პატიმარია! — ასეთ განცხადებებს აკეთებენ ნაციონალები.

პუტინი ძალიან ნაწყენია თურმა — მე ის კაცი ვარ, ადამიანი დავიჭირო და სხვას მივაბარო შესანახად? ციხეების მეტი რა მაქვს, ჩემს პატიმარს გლდანის ციხეში როგორ გავუშვებდი? ამერიკელების გაკეთებულია ეგ ამბავი და მე მაბრალებენ! რატომ უნდა დამეჭირა სააკაშვილი — მაგას იმდენი სიკეთე აქვს გაკეთებული რუსეთისთვის, დაჭერა კი არა, მისი სიმაღლე ძეგლი უნდა დავუდგა „პაკლონნაია გარაზე“. ასე რომ, მაგ საქმეში ჩემი ხელი არ ურევია, ძმაო, ცილს მწამებენ! ჩემი სიმართლე რომ დავამტკიცო, მზად ვარ, საქართველოში ჩამოვიდე და შიმშილობა გამოვაცადო — სანამ ჩემს მიშიკოს არ გაათავისუფლებენ, ფეხს არ მოვიცვლი იქიდან. მელიასთან კაცი უკვე გავგზავნე მოსალაპარაკებლად, მაგრამ ჯერ პასუხი არ მიმიღია. იმედია, უარს

არ მეტყვიან, — აი, ასეთი რაღაცები უთქვამს ვლადიმირ ვლადიმიროვიჩს თავის საახლობლოში.

იმასაც ამბობენ, რომ პუტინს ძალიან უნდოდა, სააკაშვილი რეფორმების კომიტეტის თავმჯდომარედ მიეწვია, თუმცა ზელენსკიმ „პერეხვატი“ გაუკეთა და დაასწრო, რაზეც პუტინი სერიოზულად გაბრაზებულა და ზელენსკისთვის შეუთვლია: შენ ჩემი კადრების გადაბირებას თავი დაანებე, თორემ პასუხი მოგეთხოვებაო.

მას შემდეგ, რაც სააკაშვილი ტყვედ ჩავარდა, ზელენსკიმ კი ტყვის გამოსახსნელად საჭირო ზომები არ მიიღო, პუტინს კიდევ ერთხელ დაურეკავს ვოლოდიმირისთვის და სულ იობტვაიუმატ, უძახია: მე რომ მებრიქები, შე ჩემა, შენი მოქალაქე ვერ დაგიხსნია ტყვეობიდან და ამის შემდეგ ხმას როგორ იღებ საერთოდო?

პუტინს სწყინს, ვიღაც-ვიღაცები ოკუპანტს რომ ეძახიან და თავს იმართლებს: თქვენ გამხადეთ ძალისძალად ოკუპანტი, თქვენ მაიძულეთ, ოკუპანტი გავმხდარიყავი. იმდენი იძახეთ, ნატოში შევდივართ, ნატოში შევდივართო, ჩემი სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე, სხვა გზა არ მქონდა, ეს გეგმა უნდა ჩამეშალა და ჩავშალე კიდევაც.

საქართველოს კი არ ვეომები მე, ნატო მეომება საქართველოდან და თავს ვიცავო, — ამბობს თურმე პუტინი და საქართველოში გამოსამგზავრებლად ემზადება.

— აკო მინაშვილს თუ მომიწვენთ გვერდით, კარგი იქნება — ჭკვიანი კაცია აკო და ვისაუბრებთ მსოფლიო პილიტიკაზეო, — ასეთი სურვილიც გამოუთქვამს ბატონ ვოვას.

სააკაშვილისთვის რომ მოუხსენებიათ პუტინის ჩამოსვლის ამბავი, მიშას გული აჩუყებია და ტირილი დაუწყია: ვიცოდი, რომ არ მიმატოვებდა გასაჭირში, ვიცოდი, რომ დამიხსნიდა ოლიგარქის ტყვეობიდან. პუტინი რომ ჩამოდის, კარგია, მაგრამ ბაიდენი, ჯონსონი, მაკრონი სად არიან ამდენ ხანს?

დავჭირდები მე მაგათ ცოტა ხანში, მაგრამ ახლა გვერდით თუ არ დამიდგებიან, მერე რა პირით უნდა მთხოვონ დახმარებაო? — უთქვამს აღელვებულს და აღშფოთებულს.

მწყობრიდან გამოსული მიშა ვერაფრით დაუწყნარებიათ ნიკა ექიმს, მარიამ ჯიშკარიანს და ნინო ლომჯარიას, მაგრამ ამასობაში ადვოკატი საძაგლიშვილი მოსულა და ამბავი მოუტანია: სარწმუნო წყაროებიდან ვიცი, მსოფლიოს წამყვანი პოლიტიკოსები ბრიუსელში აპირებენ შეკრებას, რომ საქართველოში მოშიმშილეთა ბრიგადები გამოაგზავნონო.

— ხომ ვთქვი, ჩემს მხარდასაჭერად მთელი მსოფლიო დადგება ფეხზე, მთელი მსოფლიო დაიწყებს მასობრივ შიმშილობას და ოლიგარქ ივანიშვილს აიძულებენ, საკუთარი ხელით გამიღოს საკნის კარები-მეთქი, — ჩაიხვიხვინა სააკაშვილმა და მანგოს წვენის ლიტრიანი ბოთლი ერთი მოყუდებით ბოლომდე გამოსცალა.

გლდანში თოვდა.

შორს რუსული სამხედრო ბაზების კონტურები ილანდებოდა და იქიდან წამოსული შუქი სააკაშვილის საკნის ფანჯრებს საამოდ ელამუნებოდა.

**დავით ქავთარია**

# ირაკლი ღარიბაშვილის ისტორიული გადაწყვეტილება თაღლითების წინააღმდეგ

## თურქეთის ფარმაცევტული ბაზარი გაიხსნა, საქართველოში მედიკამენტები უნდა გაიაფდეს!

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა თქვა და შეასრულა. წესით, გარდა იმისა, რომ ამ ქვეყანაში მედიკამენტები უნდა გაიაფდეს, გაჭირვებულთა ხარჯზე გამდიდრებული წურბელების პარპაშს წერტილი უნდა დაესვას.

თუმცა!

ამ შემთხვევაშიც მკაცრი კონტროლია საჭირო, ამათი ამბავი რომ ვიცით, კოკას ყურს იქიდან მოაბამენ, საიდანაც უნდათ. ოქრიაშვილები, კურტანიძეები და სხვები რასაც მიწის ზემოთ აშავებენ, ასი იმდენს მიწის ქვემოთ აშავებენ, ეშმაკის მოციქულები არიან!

ასევე, მკაცრადაა გასაკონტროლებელი ხარისხი!

მე პირადად მაქვს გამოცდილება (ალბათ თქვენც გაქვთ), თუ რა ხარისხობრივი სხვაობაა თურქულ მედიკამენტებსა და საქართველოში შემოყრილ ცარცს შორის.

ფულს აძლევ, ათმაგს, ასმაგს იხდი ჯანმრთელობის სანაცვლოდ და ამ დროს არაფერი, პირიქით, იქით განგრევს და გაუბედურებს!

გასაკონტროლებელია-მეთქი... არა, შემეშალა, ეს სფერო

გამოსაძიებელია. **თუ სადმე სამართალია, ამათ, ამ თახსირ „ბარიგებს“, სახელმწიფომ განსაკუთრებული** ყ�sებიან. ერთი ე.წ. ვერსიის თანახმად, მას ძალიან უყვარს მოოქროვილი ზიზილ-პიპილები, თქვენ წარმოიდგინეთ, თურმე ფეხსაცმელებიც კი მოოქროვილი და ბრილიანტის თვლებით გაწყობილი აცვია.

**თაღლითების სტატუსი უნდა მიანიჭოს და ციხეშიც ჩაყაროს. დიახ, კი არ უნდა ჩასვას, ჩაყაროს!**

ნახეთ სია, რა დიდი სხვაობაა თურქულ ფასებსა და ე.წ. ქართულ ფასებს შორის... მაგალითად, „ასტრა ზენეკას“ (შვედეთი) მიერ წარმოებილი „rosuvastatin“ თურქეთში ღირს 1,64 დოლარი, საქართველოში – 17,78 დოლარი; ფრანგული „levetiracetam“ თურქეთში ღირს 6,35 დოლარი, საქართველოში – 33,97 დოლარი; ბრიტანული „fluticasoni“ თურქეთში ღირს 1,65 დოლარი, საქართველოში – 8,74 დოლარი. არ არის ახლა ეს მავნებლობა და უნამუსობა? რა თქმა უნდა, არის!

### ლირიკული გადახვევა

საქართველოში არის ერთი ცნობილი აფთიაქარი, რომელზეც თავისივე თანამშრომლები „ლეგენდებს“ ყვებიან. ერთი ე.წ. ვერსიის თანახმად, მას ძალიან უყვარს მოოქროვილი ზიზილ-პიპილები, თქვენ წარმოიდგინეთ, თურმე ფეხსაცმელებიც კი მოოქროვილი და ბრილიანტის თვლებით გაწყობილი აცვია.

2012 წელს, როცა „ნაცმოძრაობა“ გადაშენების პირას დადგა, ხოლო 2013 წელს ბიძინა ივანიშვილი პრემიერ-მინისტრი გახდა, ამან, ამ აფთიაქარმა თავისი მდიდრული ფეხსაცმელები სადღაც გადამალა და სამსახურში ლამის „კალოშებით“ დაიწყო სიარული. თანამშრომლები მიხვდნენ, რაშიც იყო საქმე, „უმფროსს“ ეგონა, ჯერ გამაკულაკებენ, მერე კი გამაციმბირებენო. თურმე მით უფრო მაშინ მოიღუშა, ივანიშვილმა ყველა აფთიაქარი ერთად რომ შეჰყარა და გამოუცხადა, მავნებლები ხართო. როგორც ვნახეთ, მას შემდეგ სახელმწიფომ ყველა სფეროში კეთილგანწყობილი პოზიცია დაიკავა, მაგრამ თაღლითებმა გაიგეს? ვერ გაიგეს!

გადაიარა თუ არა ე.წ. ქარიშხალმა, იმ წამლების „ბარიგამ“ ისევ ჩაიცვა ბრილიანტებით გაწყობილი ფეხსაცმელები და კვლავ თავაწეულმა დაიწყო სამსახურში სიარული. არ დაიჯერებთ, თანამშრომლებს ისევ „ფხუკუნი“ აუტყდათ, მაგრამ „უმფროსს“ მაინც არაფერი აგრძნობინეს. აგრძნობინებდნენ და კაი ჩიტსაც დაიჭერდნენ.

სიტყვამ მოიტანა და ბარემ მეორე აფთიაქარზეც ვიტყვი... ადრე ერთ ცნობილ „მეწამლეზე“ დავწერე, აშკარად დებილია-მეთქი. ტელევიზორში ივჯდა და ყვებოდა, როგორ ყიდიდა მთელი ცხოვრება მედიკამენტებს 300 და 400-პროცენტიანი დანამატებით. იყიდება და მაშ რა უნდა ვქნაო? ამას წაუკითხავს ჩემი წერილი ერთ ჩემ მეგობართან დაურეკავს – აუუუ, გეხვეწები, ზედელაშვილს გადაეცი, მართლა არა ვარ დებილიო. არც ვაციე, არც ვაცხელე, ისევ დავწერე, გაჭირვებულების ხარჯზე რომ მდიდრდები... არა, თუნდაც გაჭირვებულთა ხარჯზე არ მდიდრდებოდე და საქმე გქონდეს შეძლებულ საზოგადოებასთან, მაინც მავნებელი არ გამოდიხარ? მაინც საკუთარ ქვეყანას არ უწყობ საბოტაჟს? დიახ, როცა ასე იქცევი, ყველა შემთხვევაში დებილიც ხარ და სამშობლოს მოღალატეც!

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

**მინაწერი: რდაქციაში უამრავი ადამიანი რეკავს და გვთხოვს, დიდი მადლობა გადავცეთ ბატონ ირაკლი რარიბაშვილს იმ ისტორიული გადაწყვეტილებისთვის, რომელიც მან სააფთიაქო სფეროში არსებული უმწვავესი პრობლემების აღმოსაფხვრელად მიიღო.**

**ასე რომ, ხალხის სახელით დიდი მადლობა, პრემიერო!**

**ასე გააგრძელეთ!**

### ქვეყანაში „ბუსტერიზაციის“ გასაზრდელად შესაძლოა ფულადი წახალისება დაწესდეს

**როგორც ამირან გამყრელიძემ ჟურნალისტებთან საუბრისას განმარტა, აღნიშნული საკითხი ფინანსთა მინისტრ ლაშა ხუციშვილთან უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე დააყენა.**

**მისივე თქმით, 200 ლარიანმა ფულადმა წახალისებამ, რომელიც ნოემბრის ბოლოს დაწესდა იმუშავა და დამატებით 125 ათასი 60 წელზე ზემოთ ასაკის მოქალაქე აიცრა. ამასთან, 3-ჯერ გაიზარდა 50 წელს ზევით მოქალაქეებში აცრის მაჩვენებელი.**

**„ეს საკითხი დღესაც დავაყენეთ, 200 ლარიანმა ფულადმა წახალისებამ, რომელიც ნოემბრის ბოლოს დაწესდა იმუშავა. დამატებით 125 ათასი 60 წლის ზემოთ ჩვენი მოქალაქე აიცრა, ასევე მუშაობს 50 წელს ზემოთ. 3-ჯერ გაიზარდა დეკემბერთან შედარებით აცრის მაჩვენებელი. მე თვითონ ვემხრობი და დღეს დავაყენე ეს საკითხი ფინანსთა მინისტრის წინაშე, რომ იყოს „ბუსტერ“ დოზის წახალისებაც. თუ ბუსტერიზაციას გავზრდით ეს სერიოზულად შეამცირებს „ომიკრონის“ ტალღის სიმძაფრეს. ფულადი წახალისება თქვენზე(ჟურნალისტებზე) ვერ, მაგრამ ჩემი ასაკის ადამიანებზე იქნება“, – აღნიშნა ამირან გამყრელიძემ.**

### კორონავირუსის აქტიური შემთხვევების რაოდენობამ 57000-ს მიაღწია

**აქტიური შემთხვევების რაოდენობა 57 000-ს აღწევს, რაც გამოწვეულია ბოლო პერიოდში შემთხვევების მატებით. დღეს დაფიქსირდა 7000-ზე მეტი შემთხვევა — ამის შესახებ ჯანდაცვის მინისტრის მოადგილემ, თამარ გაბუნიამ საკოორდინაციო საბჭოს დასრულების შემდეგ განაცხადა.**

**როგორც გაბუნიამ აღნიშნა, კორონავირუსით ინფიცირების ახალი შემთხვევების დიდი ნაწილი არის შედარებით ახალგაზრდა ასაკობრივ ჯგუფში.**

**მან ასევე ვაქცინაციის მნიშვნელობაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ „ომიკრონით“ ინფიცირებულთა დიდი ნაწილი კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინით აცრილი იყო.**

**„ინფიცირებულთა დიდი ნაწილი იყო ვაქცინირებული და მათში ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებელი მინიმალურია, პრაქტიკულად არ არის. ეს მიუთითებს იმას, რომ „ომიკრონის“ წინააღმდეგაც ვაქცინაციის ეფექტურობა მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით ჰოსპიტალიზაციის და მძიმე შემთხვევების თავიდან აცილების კუთხით. „ბუსტერ“ დოზა თითქმის აორმაგებს ვაქცინაციის ეფექტს.**

**„ინტერპრესნიუსი“**

# შეშფოთებული ინგლისელი ლორდები და აღშფოთებული მიხეილ სააკაშვილი

ამა წლის 13 იანვარს, ძველით ახალი წლის წინა დღეს ორი მნიშვნელოვანი მოვლენა „განხორციელდა“ დედამიწის ზურგზე. ერთი საზღვარგარეთ, მეორე – აქა, ქვეყნის შიგნი თ. ვერ დაგიმალავთ, მართალია, ერთი ცოტა დასაღონებელი იყო, მეორე – ცოტა სამხიარულო, მაგრამ საბოლოო ჯამში ორივე მაინც კომედიურ ჟანრს განეკუთვნება.

მოკლედ, დიდი შესავალი რომ აღარ „განვახორციელო“, ეგრევე დასაღონებელი ამბით დავიწყებ: ინათა თუ არა 13 იანვარს, მეხივით გავარდა ინფორმაცია, დღეს გაერთიანებული სამეფოს ლორდთა პალატა მიხეილ სააკაშვილის პატიმრობის შესახებ იმსჯელებსო. შესაბამისი ინფორმაცია ლორდთა პალატის ოფიციალურ ვებგვერდზეა გამოქვეყნებული, დისკუსიის ინიციატორი ლორდი ჰარისი გახლავთო. რასაკვირველია, ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილი ამ ინფორმაციამ ძალზედ დაზაფრა და მიიჩნია, რომ ამით ყველაფერი დასრულდა – აღარც ნატოში მიგვიღებენ, აღარც ევროკავშირში და აღარც არსად. არადა, წკიპზე ვიდექით, ორივე ორგანიზაციის კარი ღია იყო, ცალი ფეხი თითქმის შიგნით გვქონდა. არა, შიგ კი არა, შიგნით, ყველაფერს უკულმა ნუ იგებთ ხოლმე!

მე პირადად ყველასგან ყველაფერს ველოდი და ესენიც, ეს ლორდებიც, თუ იმნაირად (არ დავაკონკრეტებ) იყვნენ, ვერ წარმოვიდგენდი. რას წარმოადგენს ლორდთა პალატა, ვინ არიან, რა უფლებით ერევიან ჩვენი ქვეყნის საშინაო საქმეებში და საერთოდ, რა უნდა ლორდ ჰარისს?

ის ანგლიკანურ ეკლესიაში იყო ოქსფორდის ეპისკოპოსი, შემდეგ გახდა ლორდთა პალატის წევრი. მან 1958 წელს სამხედრო სამსახური დატოვა და კემბრიჯში თეოლოგიის სასწავლებლად გაემგზავრა. საეკლესიო მოღვაწეობასთან ერთად, იგი სამეცნიერო ორგანიზაციებთანაც აქტიურად თანამშრომლობდა. ის პალატაში თავმჯდომარეობს ღეროვანი უჯრედების კვლევის კომიტეტს და თბილისში გამართული ევროპის კვირეულის ფარგლებში საქართველოსაც სტუმრობდა. ეს იყო ადრე, სააკაშვილის ზეობის ხანაში. მაქვს ეჭვი, რომ კარგად იცნობს სააკაშვილის ბიძას, თემურ ალასანიას. სხვათა შორის, თბილისში ყოფნისას ჰარისმა მოგვიწოდა, მართლმადიდებლურ ეკლესიას დაფინანსება შეუწყვიტეთ, ეს სხვა მორწმუნეებში უკმაყოფილებას იწვევსო და კიდევ... ბიბლია ხელახლა გაიაზრეთო. მოკლედ, ეს ის მომენტია, ყველა ყავლგასული და გზააბნეული ჭკუას ჩვენ რომ გვასწავლის. მისტერ ჰარისი ამჟამად პენტრეგრთის ლორდი გახლავთ, ის 13 იანვარს პალატაში ასეთი პათოსით გამოვიდა:

„მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს საქართველომ ეკონომიკური აღმავლობა განიცადა, მან გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები, კორუფციის დასამარცხებლად და როდესაც 2013 წელს არჩევნები წააგო, მშვიდობიანად გადასცა მმართველობა ოპონენტებს, რაც საქართველოს ისტორიაში პირველი ასეთი შემთხვევა იყო. შემდეგ ჩამოართვეს მოქალაქეობა და ჩასვეს ციხეში შეთითხნილი საქმეების გამო, რაც საერთაშორისო მედიამ დაახასიათა, როგორც პოლიტიკური შურისძიება. ვფიქრობ, სამართლიანი იქნება თუ საქართველოს მთავრობასთან პროტესტს გამოვთქვამთ და ვთხოვთ დიდი ბრიტანეთის ელჩს, მოინახულოს ბატონი სააკაშვილი საპატიმროში“.

როგორც ხედავთ, ჰარისმა სააკაშვილის დაწერილი ტექსტი წაიკითხა და ჩიზვიკის ლორდ ჰანეისგან საკადრისი პასუხიც მიიღო:

„ამ პალატის და რომელიმე ლორდის განსახილველი ნამდვილად არ არის ყოფილი პრეზიდენტის დანაშაული ან უდანაშაულობა. თუ ჩვენ გვსურს ბრიტანეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობის უფრო გაღრმავება, ამაში უდიდეს როლს ითამაშებს საქართველოს მთავრობის მიერ ადამიანების უფლებების ევროპული კონვენციის დებულებების ზედმიწევნით შესრულება“.

ა, კაცი, ვინმე სააკაშვილის პატიმრობა რა ჩვენი საქმეაო? მართლაც არ არის ლორდთა პალატის საქმე, მაგრამ ზოგიერთს ვალი რომ აქვს, რაღაცით ხომ უნდა გადაფაროს? აუჰ, ელჩს უნდა ვთხოვოთ, შევიდეს სააკაშვილთან და გადაამოწმოსო. რა უნდა გადაამოწმოს? მიხეილი დაუხატავს სურათს, დღეში ცხრაჯერ მაწამებენო, გამოვა შეშფოთებული და მერე პალატაში იტყვიან, შეიძლება საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში შესვლის მხრივ პრობლემები შეექმნასო.

დასაწყისში გითხარით, 13 იანვარს მეორე მნიშვნელოვანი საქმეც „განხორციელდა“-მეთქი... დიახ, თბილისის საქალაქო სასამართლოში საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო კვეთაში ბრალდებული მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის სასამართლო პროცესი გაიმართა. პროცესს ესწრებოდა თავად ბრალდებული სააკაშვილიც. ჰმ... ესწრებოდა? რას ამბობთ, ესწრებოდა კი არა, თავის ქება რომ დაიწყო, მოსამართლემ და პროკურორებმა ვეღარ გააჩერეს.

არა, რა იყო ესა?!

მეო, მეო, მეო, მეო, მეო... სუ მეო!

დროშა მოგეციოთ!

სკამი მოგეციოთ!

ჩუსტები მოგეციოთ!

ბათუმი აგიშენეთო, სიღნაღიცო, ნატოს კარი გაგიღეთო, ლაზიკასაც აგიშენებდით, ცოტაც რო დამცლოდაო!

თქვენ ხო არაფერი გეშლებათ, აზრზე ხართ, ვინ დაიჭირეთ და ვის ასამართლებთო?!

ჰიმნი შეგიქმენით, რწმენა ჩაგინერგეთ, ადამიანებად გაქციეთ, ახლა აქეთ მედავებით „კასტუმებზეო“?!

არა, მაინც რა იყო ესა, ქალბატონო მოსამართლევ, არ დაიღალეთ?

თქვენს ადგილზე რომ ვყოფილიყავი, ჯერ წიხლქვეშ გავიგდებდი, მერე გავაძევებდი და თან დავაჯარიმებდი!

მე მინდა, გადაგარჩინოთ, ივანიშვილის კლანჭებიდან გამოგიხსნათ, თორემ თქვენი ტილიანი თანამდებობა რაში მჭირდებაო?

ტილიან საქართველოში სამშობლოს სიყვარულის გამო ჩამოვედი, თორემ უკრაინაში პრემიერ-მინისტრობას მთავაზობდნენ, ჯერ პარაშენკო მეხვეწებოდა, მერე ზელენსკიო.

მე რევანშისტი არა ვარ, ეროვნული თანხმობა მინდა და იცით, რას ნიშნავს ეროვნული თანხმობა? აი, მე რომ არ მომწონხარ და ვერ გიტან, მაგრამ არ მოგკლავო!

ამ გაზაფხულზე ეს საქმე უნდა მოვამთავროთ და ხელისუფლებაში მოვიდეთო. შეიძლება ცოტა ადრეცო.

თან ჩაიცვი, მიხეილ, მარტში ქარები იცის, გაცივდები და არაადამიანურ წამებაში ჩაგვეთვლება!

ავოიეეეეე!!!

ძაღლიო, ცუგაო, გორის ჰოსპიტალთან იყო, როგორც კი ჩემი ადვოკატები ჟურნალისტებთან ლაპარაკს იწყებდნენ, ისიც ეგრევე ჰყეფდაო. მეტიც, მე რომ ხმებს გამოვცემდი, იმასაც კი ახშობდაო.

რაც იმ დღეს იყბედა, ასე თუ ისე, ყველაფერი გავიგე!

გავიგე რა... რის თქმაც უნდოდა, მივხვდი, მაგრამ ძაღლზე რომ მოთხარა, ეს რა იყო?

ჩემი აზრით, მაგას ვიღაცამ ივან ტურგენევის „მუმუ“ შეუტანა, წაიკითხა, ვერ მიხვდა, რას კითხულობდა, შეიძლება ივანე მერაბიშვილის წერილი ეგონა და იმის გავლენის ქვეშ იყო. თუ მიხომ უახლოეს ხანში ქალებზე (ცოლებზე) საერთოდ უარი თქვა, ჩემი ვარაუდი გამართლდება, ნაღდად „მუმუ“ აქვს წაკითხული.

გეუბნებით, ამისგან ყველაფერია მოსალოდნელი!

არა, მაინც რა იყო ესა?!

მე აგაშენეთ, გაიგეთ, ამას შეეგუეთ, აგერ, ბათუმიც კი ჩემამდე ერთი ჭაობიანი პატარა სოფელი იყო და თქვენ კიდე ტილი გეხვეოდათ, შამპუნი პირველად მე შემოვიტანე, საპნის ხმარებაც არ იცოდით, საჭმელი გეგონათო.

დასაწყისში მოსამართლე ნინო ჩახნაშვილს დაესხა თავზე, თქვენ ისეთივე სასამართლო ხართ, როგორც მე ვარ ასტრონავტიო. ქალბატონმა ნინომ მოუწოდა, სიტყვით გამოსვლის დროს დარბაზში მყოფი საზოგადოებისკენ კი არა, მის მხარეს მიტრიალებულიყო. აუუუ, ეგ ჩემი გადასაწყვეტია, ვის მივმართავო:

„არ ვაპირებ, ივანიშვილის სასამართლოს ვუყურო თვალებში. ვაპირებ, შევხედო თვალებში ქართველ ხალხს! ჩემთვის არავინ ხართ. მივმართავ ქართველ ხალხს, რომელის წინაშეც წარვდექი, ვერავინ გამაწყვეტინებს და თუ გამაწყვეტინებთ, ამაზე პასუხს გაგცემთ ქართველი ხალხი! ეს დარბაზი ჩემი აშენებულია; დროშა, რომელიც თქვენს უკან არის, ჩემი გაკეთებულია; ეს სკამი, რომელზეც ზიხართ, ჩემი დადგმულია; ეს აუდიტორიაც ჩემი გაკეთებულია, ეს გალიაც ჩემი აშენებულია“!

მიხეილ სააკაშვილს წესით უნდა ეთქვა, შეექმენ ცა და ქვეყანა, იყო სიბნელე, ვქმენ ნათელი და მეშვიდე დღეს დავისვენეო, მაგრამ არ უთქვამს, არ დაუსვენია, ხომ არ მოიტყუებოდა? ალბათ გახსოვთ, წიწაკაამოსმულივით დარბოდა, შაბათი მაგან არ იცოდა და კვირა, ყველა დღე შაბათი იყო, ორშაბათიც კი. ღებავდა და ღებავდა ფასადებს, ფასადებს მიღმა რა ხდებოდა, არ აინტერესებდა. ღებვას რომ მორჩა, მოსახლეობის გამოხშირვაზე გადავიდა, გამოხშირა და გამოხშირა – ზოგი მოკლა, ზოგი ჩამოახრჩო, ზოგს ფეხზე ქვა გამოაბა და ზღვაში ჩაძირა. ვერ გაძღა, ინდივიდუალური ანგარიშსწორებიდან ზოგადზე გადავიდა, 2008-ში ომი დაიწყო, მტერს ახალგაზრდები გააჟლეტინა, მილიარდები მოტეხა, სტრატეგიული ობიექტები რუსებს გადაუფორმა, ტერიტორიები გაიჩუქა. ვითომ ოკუპანტს ებრძოდა, სინამდვილეში თვითონ იყო ოკუპანტის შემოგზავნილი. ახლაც შემოგზავნილია, მაინც ვერ გაძღა, რიგგარეშე არჩევნები მინდა, აუცილებლად უნდა გაიმართოსო.

მერე მოჰყვა და მოჰყვა, გეუბნებით, მოსამართლემ ვერ გააჩერა, თავი ხან ზვიად გამსახურდიას შეადარა, ხან გიორგი სააკაძეს, ამათ რატომ არ ასამართლებთ, ამათაც ხომ უკანონოდ გადმოკვეთეს საქართველოს საზღვარიო? აი, მიხეილი ცოტაოდენ ნაკითხი რომ იყოს, ეცოდინებოდა, რომ გიორგი სააკაძე მისი პარტიის ეგიდით პარლამენტში გასულმა როსტომ ჩხეიძემ უკვე გაასამართლა და განაჩენიც გამოუტანა, მოღალატეაო. ეს მეტად წინააღმდეგობრივი თემაა, არ ვდაობ, მხოლოდ სააკაშვილის გასაგონად ვამბობ, თუ სააკაძე გმირი ჰგონია, რომელსაც თავს უტოლებს, მაშინ თავისი პარტიის წევრს, როსტომ ჩხეიძეს და მის დას – ნატოსა ჰკითხოს. აი, სააკაშვილისგან დარბეულებს რაღა უნდათ „ნაცმოძრაობაში, ეგ ვერ გავიგე... რა ვიცი, უფალო, მრავალფეროვანია განგება შენი.

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

# რატომ ემუქრება დამფრთხალი მამაო კახა კალაძეს, ირაკლი ღარიბაშვილსა და ბიძინა ივანიშვილს?

## „საქართველოს უნიათო მთავრობა, რა გგონია, გავჩუმდები?! მგონი არც იცით, ვინ გადაგეკიდათ, მაგრამ ეს ჩემი ბრალი არ არის, თქვენ მაიძულეთ, ეს ნაბიჯები გადამედგა“!

გაბრაზდა კაცი, გაზზე 500-ლარიანი ქვითარი მიუვიდა გადასახდელად, დენზე – 600 ლარი. რა იყო, მამაო, რა ამბავია, ამდენი რანაირად დაბუგე? არა, კი იძახიან, ძაან ფართომასშტაბიანი სახლ-კარი აქვს, თან 6 თუ 7 შვილი ჰყავს, თანაც მიტოვებულიო, მაგრამ ამდენი მაინც არ უნდა დაწერილიყო.

გამოგიტყდებით, ამ ადამიანზე წერას არ ვაპირებდი, ზის „ფეისბუკში“, ტელევიზორში, არიგებს ინტერვიუებს, ლექსებსაც წერს, თავის ჭიას ახარებს, არის თავისებურ ზენიტში, რაღაცნაირი მრევლიც ჰყავს, რაღაცნაირად მოაზროვნე, რომანტიკული... თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, მაგრამ უცებ აფეთქდა, საქართველოს უნიათო მთავრობა, ხომ არ გგონია, გავჩუმდები, არც კი იცი, ვინ გადაგეკიდაო. საწყალი ჩვენი მთავრობა – დიდი, პატარა, მოხუცი, ახალგაზრდა, ბავშვი, ქალი, კაცი, იმნაირი, ამნაირი, მღვდელი, ბერი, დეკანოზი, ყველა მაგას ემუქრება. როგორ, 500 ლარისა გაზი დავწვი, 600 ლარისა – დენი, რანაირად გადავიხადოო? შე კაი კაცო, მღვდელო, ბერო თუ დეკანოზო, „სოჩიკები“ რომ ამოჰქოქე და პოეზიაში ჩაიძირე, ხომ უნდა შეგეხედა, რამდენი იწერებოდა? ამას თავი დავანებოთ, მიმართვისა თუ მოთხოვნის ფორმასაც ხომ გააჩნია? შე უნიათოვ, მე ამდენი მაქვს გადასახდელი, ნება იბოძე, გადამიხადე, თორემ გაგანადგურებ, მგონი არც კი იცი, ვინ გადაგეკიდა! – რა არის ესა, სად ჩანს აქ კაცობა, სინდისი, ნამუსი და თუნდაც რელიგიური მიდგომა?!

დეკანოზ პეტრე კოლხს, იგივე პაატა კვარაცხელიას „რაზგონი“ კი აქვს აღებული, მაგრამ ადგილზე ბუქსაობს: „ხომ არ გგონიათ, რომელიმე პარტიას ამოვიყენებ გვერდზე და სალაპარაკოს მოგცემთ, ეს მღვდელი იმართებაო, სამართავები გვერდით გყავთ, მაგრამ ვერც მათ მართავთ... უმართავ სიტუაციაში აღმოჩნდით, ისევ თქვენი „გამჭრიახი“ გონების წყალობით. არც იფიქროთ, თქვენი ტროლების, ბოტების და ზომბების შემეშინდეს... გვერდით ისევ თქვენი ამომრჩევლები მეყოლება და ისე მოგადგებით... ის ხალხი, ვისაც უკანასკნელი იმედი გადაუწურეთ, ვისაც ყველა ოცნება წაართვით და მხოლოდ ერთი ბელადის გარშემო ტრიალებთ... ჩვენი, ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის ნაწილის მოთხოვნა არის ერთი-გააუმჯობესეთ სოციალური ფონი, გადახედეთ კომუნალურებს და თქვენ მიერ დახარჯულ დენს და გაზსაც ჩვენ ნუ გვახდევინებთ... შეიცოდეთ ემიგრანტები, ის წელში გადაწყვეტილი ხალხი და მიეცით არსებობის უფლება... თუ ეს ქვეყანა ფეხზე დგას, მხოლოდ მათი დამსახურებაა, თქვენი წყალობით, ერთი წელი ვერ გავძლებდით... ღარიბაშვილო, შენი ძალიან პრიმიტიული ზღაპრები, ეკონომიკურ ზრდასთან დაკავშირებით, საკუთარ შვილებსაც არ მოუყვე, მომავალი თაობა მაინც არ მოწამლო ტყუილებით და ბოდვებით... თუ ასე ძალიან მოგწონს ილუზიაში ცხოვრება, სარკის პირისპირ ისაუბრე, რომ საკუთარი ჭია მაინც გამოკვებო. საქართველოს მთავრობა, (თუკი ასეთი დეფინიცია არსებობს), დაინახეთ, რომ ქაქში ხართ და ხალხს ძალიან შია. საკუთარი სახლის კედლებზე გაიკარით, სიცოცხლის, სინათლის და სიყვარულით სავსე ქალაქების ტრაფარეტები, ჩვენ ასეთ ქვეყანაში კარგა ხანია აღარ ვცხოვრობთ... თქვენ გაანადგურეთ საკუთარი ქვეყნის მოსახლეობა და გენოციდი მოუწყვეთ საკუთარ ხალხს“.

ოოო... ძალიან მკაცრია დაუკრეფავში გადასული დეკანოზი, თან ისეთ სიტყვებსაც ხმარობს, ანაფორიანს რომ არ ეკადრება – ქაქში ხართო, ამას გიზამთო, იმას გიზამთო, საკუთარი ქვეყნის მოსახლეობა გაანადგურეთო, საქართველოს ემიგრანტები არჩენენ, თორემ თქვენი ჭკუით ერთი წელიწადიც ვერ ვიარსებებდითო!

როგორცა (ს)ჩანს, ბატონ პეტრეს მართლა სჯერა, რომ საქართველოს ემიგრანტები ინახავენ. დროა, დასრულდეს ეს ზღაპარი, მე პირადად დიდ პატივს ვცემ საკუთარ ქვეყანას მონატრებულ ადამიანებს, მაგრამ მთლად ასეც

არ არის საქმე, ყველა ინახავს საკუთარ ოჯახს და შესაბამისად, სარგებლობს სახელმწიფოც.

ზემოთ ვთქვი, ამ ადამიანზე წერას არ ვაპირებდი-მეთქი. მართლაც, ის ნამდვილად არ მაღიზიანებდა თავისი „შემოქმედებით“, მაგრამ როგორც ხედავთ, თანამედროვე ტიპის მამაომ თავზე გადაიფსა – ხან კახა კალაძეს გადასწვდა, ხან ირაკლი ღარიბაშვილს დაემუქრა, ხან მთავრობას უძახა, ქაქში ხარო. არ მაინტერესებს, სხვისას არ ვითხოვ, დამასაქმეთ და გადამიხადეთ, ნიჭიც მაქვს, გონებაც და ინტელექტიც, სხვა თუ არაფერი, საკუთარ ბიოგრაფიას დავწერ უშეცდომოდ და კიდევ ბევრ რამეს დავწერ, კალაძესთან მიშუამდგომლეთო. თქვენ გგონიათ, კალაძესთან რომ მისულიყო პატიოსნად, თავმდაბლურად, მოდრეკილად და ეთქვა, 7 შვილის მამა ვარ (ზოგი 6-ს იძახის), მიჭირს, ვერ ვიხდი, ზამთრის პერიოდში მაინც დამეხმარეთო, არ დაეხმარებოდა? აუცილებლად დაეხმარებოდა, შეიძლება რამე ისეთი სამსახურიც შეეთავაზებინა, მაგრამ არა, ამან ჯერ ქუჩური გაუშვა, მერე მიაპოლიტიკურასავით, ბოლოს მუქარაზე გადავიდა, აქციებს მოგიწყობთ, დაგამხობთ, დედას გიტირებთ, თქვენ არ იცით, ვინ გადაგეკიდათო. მოდით, კარგად ჩავხედოთ ამის ნაფიქრ-ნამოღვაწარს, ნეტავ ვინ გადაეკიდა ამ მთავრობას? თვითონ კი ამბობს, სხვა თუ არაფერი, საკუთარ ბიოგრაფიას მაინც დავწერ უშეცდომოდო... იმაზე აღარაფერს ვამბობ, ჭკუაც რომ მიჭრის, გონებაც და ინტელექტიც, დამასაქმეთ, გადამიხადეთ, ძმაო-ვო!

ამ შემთხვევაში (როგორც თვითონ ამბობს) პეტრე კოლხის (პაატა კვარაცხელიას) კოზირი ის გახლავთ, რომ საკუთარი ბიოგრაფიის დაწერა შეუძლია უშეცდომოდ. გადავამოწმე, მისი წერილები გრამატიკული კუთხიდან წავიკითხე... როგორ გითხრათ, წინადადების გამართვა იცის, სასვენ ნიშნებსაც სწორად სვამს, მაგრამ ამ მხრივ მაინც მოიკოჭლებს, ალაგ-ალაგ აზრობრივი ჩავარდნებიც აქვს. მაგალითად, ბიძინა ივანიშვილს ღია წერილში ეუბნება, მე არ ამირჩევიხართ, პოლიტიკა არ მაინტერესებდაო, შემდეგ კი წერს, თქვენი დიდი იმედი მქონდა, მაგრამ გამიცრუეთო... ალბათ იმედი „ქართულმა ოცნებამ“ თქვენც გაგიცრუათო, ეგენი სხვაგან ცხოვრობენო, ღარიბაშვილი ბოდავსო. თავიდან მეგონა, ამ კაცს ბევრი ფული აქვს, აფხაზეთსა და სამაჩაბლოს გამოისყიდისო... თუმცა აქაც შევცდიო.

გაიგონეთ? თურმე დეკანოზი ფიქრობდა, ივანიშვილს „ფულები“ აქვს, ჯერ აფხაზეთსა და სამაჩაბლოს გამოისყიდის, მერე კი მეც გადამიხდის დენისა და გაზის ფულსო. ეეჰ... გაუცრუვდა იმედი, ბატონმა ბიძინამ არც ერთი ქნა, არც მეორე, არც მესამე.

„ბატონო ბიძინა, მე ფულის საკეთებლად ეკლესიაში არ მოვსულვარ... ორი დისერტაცია დავწერე და ოცი წიგნის ავტორი ვარ, მაგრამ ღმერთი მიყვარს, ეკლესიაში მეტი სამართლიანობის იმედი მქონდა და ზღვა მეპატარავებოდა, ოკეანეზე ვფიქრობდი, აკვარიუმში მოვხვდი... დიახ, არასდროს მიფიქრია, მღვდლობით ფული მეშოვნა, მაგრამ ვერც იმას ვიფიქრებდი, თუ ასეთი უბედურება დამხვდებოდა... თუ პანაშვიდების პარკების ყურება მოგვიწევდა... ბატონო ბიძინა, შემზარავი საყურებელია, პანაშვიდის სუფრებს, როგორ იყოფენ დამშეული მღვდლები... ვიღაც, თქვენი პარტიის ტროლბოტი, რომელსაც თბილისის მერიაში ხალხის ლანძღვის და შეურაცხყოფის გამო ხელფასს უხდიან, გამოხტება და იტყვის, მღვდლები ბიძინამ არჩინოსო?! არა, ეს არ მითხოვია ბატონო ბიძინა, ბალანსის დაცვას ვითხოვ, თანხების სწორ გადანაწილებას და სასულიერო პირებისთვის ოდნავ მეტი ყურადღების მიქცევას... ყველას ერთ ქვაბში გვყრიან და გვხარშავენ... ფულიანს, უფულოს, ჯიპიანს, უჯიპოს, მშიერს, მაძღარს, წიგნიერს, უწიგნურს, ღირსეულს, უღირსს... ბატონო ბიძინა, მე არ დავიკარგები... ჩემს ოჯახს ხელს მოვკიდებ, მეც წავალ ემიგრაციაში, მაგრამ ეს ქვეყანა დიდხანს ვერ იარსებებს, თუ ასე გარგძელდა და ძალიან ცუდად დაიწერება „ქართული ოცნების“ ისტორია“.

თურმე შემზარავი საყურებელია, პანაშვიდის სუფრებს როგორ იყოფენ დამშეული მღვდლები! – ასე ამბობს კოლხი პეტრე.

თქვენ გჯერათ?!

მე არ მჯერა, რომ საქართველოში დამშეული მღვდლები პანაშვიდების სუფრებს იყოფენ. თქვენი არ ვიცი, მე საქართველოში დამშეული სასულიერო პირი არ მინახავს. პირიქით (ღმერთმა ყველას მისცეს), მგონია, ყველა შეძლებულად ცხოვრობს. არ ვიცი, ასეთი რამე აქამდე არ დაიმალებოდა. გარდა იმისა, რომ ჩვენი დედა ეკლესია ბიუჯეტიდან ფინანსდება, მოსახლეობაც, მრევლიც ამ მხრივ აქტიურია. კოვიდის გამო ჯვრისწერები და ნათლობები აღარ არის, ამიტომ დაიწყო მასობრივი შიმშილობა ეკლესია-მონასტრებშიო. სხვათა შორის, ეკლესია-მონასტრებს საკუთარი მეურნეობებიც აქვთ, თუ სადმე ზარმაცი მღვდელი არ წირავს, შიმშილი რა სახსენებელია?

ამ წერილს არ ვწერ აგრესიით, ანუ სიძულვილით, უბრალოდ ვერ ვიტან უსამართლობას, ყველა დამფრთხალი ბიძინა ივანიშვილს რომ მიადგება ხოლმე. საერთო ჯამში რა პრეტენზია აქვს ბატონ პეტრე (პაატა) კოლხს (კვარაცხელია), რას ითხოვს? არაფერს, თუ კომუნალურებს დაუფარავენ და სადმე დასაქმებენ, ეს მთავრობა და ხელისუფლება ისეთი კარგი გახდენა, უცებ გაბრწყინებას დაიწყებს. ბატონი პეტრე ვერ ჩამოყალიბდა, კი ჰყავს 6 შვილი, მაგრამ ვერ დალაგდა, ამ ცხოვრებაში რომელი გზით უნდა წავიდეს, სასულიერო გზით, ძველბიჭური გზით თუ საერო გზით, მასში იმდენადაა ნარცისიზმი გამჯდარი, შეიძლება ზოგიერთ საკითხში მიხეილ სააკაშვილსაც კი აჭარბებს – თქვენ აზრზე არ ხართ, ვინ გადაგეკიდათო, იმუქრება ბატონი პეტრე და ამ დროს თვითონაც არ იცის, ვინ არის და რას წარმოადგენს. ფაქტები გნებავთ? აგერაა, არაფერს ვიგონებ: რამდენიმე თვის წინ ინფორმაცია გავრცელდა, მამა პეტრე კოლხი მეუღლეს დაშორდაო. პრესაში დაიწერა, რომ ეს არც ცოლმა უარყო, არც თვით კოლხმა. თუმცა ამ უკანასკნელმა იქვე დასძინა, ჩემი ნება-სურვილით წავედი, ოჯახი გაბრაზებულია, მაგრამ დროებითიაო. ესე იგი, მან ოჯახი (6 შვილი) მიატოვა დროებით, რომელთა გამოც ახლა ხან კალაძეს ემუქრება, ხან ღარიბაშვილს, ხან კიდევ ივანიშვილს. მიზეზი არ გაინტერესებთ? ეკა ჩხეიძის გადაცემაში („ყვითელ ყუთი“, „მთ. არხი”) სტუმრობისას ისაუბრა იმაზე, თუ რატომ ნატრობდა დედის სიკვდილს, როგორ ეუბნებიან, რომ სიმპათიური მამაკაცია და რატომ დაიღალა ქორწინებითა და ეკლესიით. კითხვაზე, რატომ გაშორდა ცოლს? ის პასუხობს: „ზოგადად ყველაფრით დავიღალე, დავიღალე ეკლესიითაც, მომინდა, ვიყო მარტო“.

აჰა, მოუნდა ბიჭს, იყოს მარტო, ზოგადად ყველაფრით დაიღალა, „დაჟე“ ეკლესიითაც, ოჯახითაც, ცოლშვილითაც. ბიძინა ივანიშვილი არ დაიღალა, მან ყველას ოჯახი უნდა არჩინოს, აფხაზეთიც უნდა გამოისყიდოს, სამაჩაბლოც, თუ ყველას ოჯახი ვერ არჩინა და დაკარგული ტერიტორიებიც ვერ გამოისყიდა, მაშინ უნდა გავუბრაზდეთ, გავლანძღოთ, ომი გამოვუცხადოთ, დავემუქროთ... შენ კი, თუნდაც დეკანოზს არაფერი გევალება, არც არჩევნებზე მისვლა, არც არჩევანის გაკეთება, პოლიტიკა არ გაინტერესებს. ამხელა კაცმა თუ ეგ არ იცი, რომ არჩევანის გაკეთება და პოლიტიკა სხვადასხვა რამეა, მაშინ რომელ ინტელექტზე, რა განათლებაზე, სადაურ პროფესიონალიზმზე ლაპარაკობთ, ბატონო პეტრე? ისაო, მე პოლიტიკა არ მაინტერესებდა და ამიტომ არ ამირჩევიხართო, წარმოგიდგენიათ? ასეთი ადამიანს აქვს უშრეტი პრეტენზიები და იმდენსაც კი ბედავს, ყველას ემუქრება.

ბატონო პეტრე, გთხოვთ, ფითილს დაუწიეთ და ოჯახს მიხედეთ, თუ იქ არაფერი გამოგდით, სადაც ხართ, პროფესია შეიცვალეთ, სოფლად ბევრი სამუშაოა და იქ (არ დაიჯერებთ) თქვენზე სიმპატიურებიც კი მუშაობენ. ახალგაზრდა კაცი ხართ, ჯანიც მოგდევთ, სიგანე და სიმაღლეც, თოხს ჩვენ გიყიდით. წარმატებებს გისურვებთ!

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

# მწერლობის შეურაცხყოფა გრძელდება!

## კომისიის წევრებს ვინ მისცა უფლება შოთა რუსთაველის სახელობის პრემია კონკურენციის გარეშე, ჩაწყობით გასცენ და ამ უმსგავსობას ხელი მოაწერონ?!

*გვესაუბრება*
*მწერალი*
*მერაბ შათირიშვილი:*

**— ბატონო მერაბ, თქვენ, ლიტერატურულ კონკურსზე „წლის საუკეთესო“ და შოთა რუსთაველის პრემიაზე რომანი „ანატორი“ წარადგინეთ. რა შედეგით დასრულდა ყოველივე?**

— იმას, რაც პრემიების გაცემის თვალსაზრისით ჩვენთან ხდება, მსოფლიოში ვერსად ნახავთ. იქმნება კომისიები და რა კრიტერიუმებით ავლენენ გამარჯვებულს, არავინ უწყის. გამაოგნებელია, ახლა, რასაც გეტყვით: წლის საუკეთესო რომანის პრემია გადაეცა წიგნს, რომელიც ჯერ გამოცემულიც კი არ არის. ეს მხოლოდ საქართველოში თუ მოხდებოდა.

შოთა რუსთაველის სახელობის

პრემიას შემდეგი პირობა ახლავს: ლიტერატურული ნაწარმოები ან ლექსთა კრებული ეროვნულ ინტერესებს უნდა პასუხობდეს, ხალხში პოპულარობით უნდა სარგებლობდეს და ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის იყოს. ეს კრიტერიუმები რაც კონკურს თან უნდა ახლდეს, კომისიის წევრების მიერ გათვალისწინებული არ იყო. შოთა რუსთაველის პრემიის კომისიის თავმჯდომარე ვალერი ასათიანი გახლდათ. შემფასებლად ცხრა კომისიის წევრი იყო, მათ შორის, გურამ ოდიშარია, ქალბატონი სტურუა და სხვები. პრემიები ისე გასცეს, ნაწარმოებები არც წაუკითხავთ. ზუსტად ვიცი, მათ არც ჩემი რომანი წაუკითხავთ. ჩემი წიგნი კონკურენციაში არ დამარცხებულა. ვინმეს თუ ჰგონია, რომ გამარჯვებულებმა პრემიები ღირსეულად მიიღეს, ძალიან ცდება. შურიანი კაცი არ გახლავართ, ღმერთმა გაუმარჯოს მაყვალა გონაშვილსაც და სხვებსაც, მაგრამ პირდაპირ ვამბობ: მათთვის, შოთა რუსთაველის პრემიის მინიჭება, სინამდვილეში, სამარცხვინოა იმიტომ, რომ ამ ხალხს კონკურსში არ გაუმარჯვია. მეტიც, კონკურსი საერთოდ არ ჩატარებულა. დარწმუნებული ვარ, კომისიის წევრებს მარტო ჩვენი კი არა, არც გამარჯვებული ავტორების წიგნები არ წაუკითხავთ. კომისიას ყველა მონაწილე ავტორის წიგნი სამ თვეში უნდა წაეკითხა. როგორი წასაკითხია სამ თვეში 1200 გვერდიანი წიგნი და პოეზიის ორტომეული კომისიის ცხრა წევრისგან?! გამარჯვებულების ადგილას რომ ვყოფილიყავი, მინიმუმ, დიდ უხერხულობას ვიგრძნობდი. შოთა რუსთაველის პრემიას ღირსეულად იმ შემთხვევაში მიიღებდნენ თუ მათი ნაშრომები კონკურენციაში გაიმარჯვებდა. ჩემი აზრით, მწერლები რომელთაც წლის საუკეთესო რომანზე და შოთა რუსთაველის პრემიაზე წიგნები ჰქონდათ წარდგენილი, აბსოლუტურად, ყველა უნდა დაინტერესდეს — მათი ნაწარმოებები კონკურსის შედეგად დამარცხდა თუ სხვა რამესთან გვაქვს საქმე? კომისიის წევრებმა დამისაბუთონ: „ანატორმა“ ვერ გაიმარჯვა ამიტომ და ამიტომ, არ იყო ზოგადსაკაცობრიო, თემატური და ა.შ. ამას ხომ ვერ იტყვიან?! ასევე, ახსნან: გონაშვილს რა კრიტერიუმების გათვალისწინებით მიენიჭა პრემია. პროზაში პრემია საერთოდ არ გასცეს. დარწმუნებული ვარ, კომისიის წევრებს თუ დაურეკავთ და ჰკითხავთ: წაკითხული და შეფასებული აქვთ თუ არა, კონკურსში მონაწილე ნაწარმოებები, სათანადო პასუხს ვერც გაგცემენ. პირდაპირ ვამბობ: კომისიის ცხრავე წევრი ლიტერატორები კი არა, არამედ ქართული ლიტერატურის მეყასბეები არიან. მათ, მუდმივად, ასე მოვიხსენიებ, ვიდრე არ ახსნიან: რატომ მიანიჭეს ამა თუ იმ ნაწარმოებს უპირატესობა. მორალური უფლება მაქვს „ანატორზე“ მათი შეფასება მოვისმინო. ასევე, ნებისმიერს ვინც კონკურსში მონაწილეობას იღებდა უფლება აქვს კომისიის წევრებისგან პასუხი მიიღოს. ჯერჯერობით, არ ვიცი, ვინ იყვნენ პრემიის „წლის საუკეთესო“ კომისიის წევრები, რომელთაც პრემია გამოუცემელ რომანს მიანიჭეს, მაგრამ აუცილებლად გავარკვევ.

**— აშკარაა, კომისიის წევრებით უკმაყოფილო ხართ. ვინ განაზღვრავს მათ კომპეტენციას?**

— რომელ კომპეტენციაზეა საუბარი! გეუბნებით: ეს ყველაფერი მარაზმია. კიდევ კარგი განაცხადი შევიტანე და რაც რეალურად ხდება, ჩემი თვალით დავინახე. აწი, აღარ გავჩუმდები. პირდაპირ ვამბობ: ეს არის მარაზმი და მაიმუნობა. ეს გახლავთ ლიტერატურის მტრობა. ვიღაც ნაცნობია, ვიღაც მეგობარი, ვიღაც მოყვარე — ლიტერატურაში პრემიების ასე გაცემა არ შეიძლება. ლიტერატურა არის ზოგადი, ის ერს ეკუთვნის. გამორიცხულია ვინმეს ნიჭის დაბლოკვა გამოუვიდეს და უნიჭობამ იზეიმოს. ტენდენცია — კონკურსის გარეშე პრემიის მინიჭების, უნდა დასრულდეს.

**— როგორ აპირებთ ამ უსამართლობის გაპროტესტებას?**

— ჩემი გეგმა ასეთია: ლიტერატორებს ვისაც ქართულ ლიტერატურაზე გული შესტკივა, მოვუწოდო: დავსხდეთ, ვიმსჯელოთ რა და როგორ მოხდა. აუცილებლად, საჯარო განხილვის ფორმატში მოვიხმოთ კომისიის წევრებიც და შექმნილი ვითარება თავად აგვიხსნან. დარწმუნებული ვარ, ისეთ აბსურდებს მოვისმენთ, კრიტიკას ვერ გაუძლებს. ალბათ, იტყვიან: ჩვენ ვინ გვეკითხება, არ წაგვიკითხავს, ვერ მოვასწარითო და ა.შ. მაშინ, რატომ იღებ ამხელა პასუხისმგებლობას?! — აა, ფული მოგცეს, ხალხის ფული აიღე?! — მერე ადექი და ვისაც გინდოდა პრემიაც იმას მიანიჭე! გამარჯვებულებს სულ ტყუილად ჰგონიათ, რომ შოთა რუსთაველის პრემია დამსახურებულად მიიღეს. ასე, არ არის. პრემიის ლაურეატებს მოვუწოდებ: თავადაც ჩაერთონ დისკუსიაში და სიმართლის გამოაშკარავებას ხელი შეუწყონ. საქართველოში ეს მახინჯი ტენდენცია უნდა დასრულდეს და პრემიები მართლა კონკურსის, კონკურენციის გზით გაიცეს. კომისიის წევრები ძალიან სცდებიან თუ ჰგონიათ, რომ მკითხველის წინაშე ახსნა-განმარტების მიცემა არ მოუწევთ. ეს მათი პასუხისმგებლობაა, რასაც ვერ გაექცევიან. ეს რაც მოხდა, დანაშაულია.

როგორც ვიცი, სალომე ზურაბიშვილს უთქვამს: მე, კომისიის გადაწყვეტილება გამზადებული მომიტანეს და უბრალოდ, ხელი მოვაწერეო. ერთმანეთს აბრალებენ. სააკაშვილსაც მიუტანა, პრეზიდენტობის დროს, კომისიამ გირგვლიანის მკვლელების სია, მან შეიწყალა. მაშინ, რას ვერჩით ამ კაცს. შენ, პრეზიდენტი რომ ხარ, ხელს რას აწერ არ უნდა იცოდე?! თუ როგორ არის საქმე — მე ვარ და ჩემი ნაბადიო? ეს რას ნიშნავს. ეს ხომ არც ლიტერატურაა, არც ზნეობაა, არც მორალია.

მაყვალა გონაშვილს არ შერცხვა, შოთა რუსთაველის პრემია ჩაწყობით რომ მიიღო!!! პრემია სახელებმა და გვარებმა მიიღეს და არა წიგნებმა. თუნდაც, ამის გამო თავი უხერხულად არ უნდა იგრძნონ? შოთა რუსთაველის პრემია კინოს ბილეთი ხომ არ არის?! როგორ შეიძლება ყველაფერს ფასი დაუკარგო და ამხელა მნიშვნელობის ლიტერატურული ჯილდო გააბითურო. ეს ლიტერატურაა. აქ, ჩაწყობა, მოწყობა, მიწყობა არ მოსულა. პრემია ღირსეულად ხომ უნდა მოგანიჭონ, ხომ უნდა გეკუთვნოდეს?!

დღესაც ისევ ის პოლიტიკა ტარდება, რასაც ნაცები და მათი მწერლები ატარებდნენ. მწეროლობის გაუპატიურება გრძელდება. არაფერი შეცვლილა. ქართული მწერლობა ამას თუ არ შეებრძოლა, ეს კარგ დღემდე არ მიგვიყვანს არც ჩვენ და არც მომავალ თაობას.

ლიტერატურა ჭეშმარიტებაა და მას სიყალბით რომ შეფუთავ, ეს დანაშაული, მეყასბეობა, მკვლელობაა. კომისიის წევრებს ვინ მისცა უფლება შოთა რუსთაველის სახელობის პრემია კონკურენციის გარეშე, ჩაწყობით გასცენ და ამ უმსგავსობას ხელი მოაწერონ?! ავიმაღლოთ ხმა, დავიცვათ ქართული მწერლობა და შოთა რუსთაველის პრემიას აყრილი ღირსება დავუბრუნოთ!

**თამარ შველიძე**
555 23 28 24


ვალერი ასათიანი


გურამ ოდიშარია

ლია სტურუა

თეიმურაზ დოიაშვილი

# უშედეგო, მაგრამ სასარგებლო

„უშედეგო, მაგრამ სასარგებლო“, — ასე აფასებენ მსოფლიოს პოლიტოლოგები გასულ კვირას რუსეთის მხარის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს წევრ ქვეყნებთან გამართულ მარათონულ მოლაპარაკებებს. განიხილავდნენ რუსეთის პრეტენზიებს — ნატოს არგაფართოებას, არსებული სარაკეტო დანადგარების გატანას აღმოსავლეთ ევროპის 14 ქვეყნიდან... მოლაპარაკებების პირველი რაუნდი შვეიცარიაში, ჟენევაში აშშ-რუსეთის დელეგაციების შეხვედრით დაიწყო. აშშ-ის დელეგაციას სახელმწიფო მდივნის პირველი მოადგილე ვენდი შერმანი ხელმძღვანელობდა, რუსეთისას — საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე სერგეი რიაბკოვი. მოლაპარაკების მნიშვნელობაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ დელეგაციების შემადგენლობებში, დიპლომატების გარდა, სხვადასხვა დარგის სპეციალისტიც ბევრი იყო.

სამიტი დელეგაციების ხელმძღვანელებმა ცივი მისალმებით დაიწყეს — მხოლოდ თავი დაუკრეს ერთმანეთს მოლაპარაკება ხანგრძლივი აღმოჩნდა, თითქმის 8 საათს გაგრძელდა. დახურულ კარს მიღმა გამართული შეხვედრის დეტალები უცნობია. დელეგაციების ხელმძღვანელებმა არც ერთსაათიან ბრიფინგზე ისაუბრეს კონკრეტულ საკითხებზე. როგორც წინასწარ მოსალოდნელი იყო, შეხვედრა უშედეგოდ დასრულდა. მხარეებმა ვერ მიაღწიეს შეთანხმებას ნატოს არგაფართოებაზე, იარაღის არგანთავსებაზე, ევროპის უსაფრთხოებაზე... შერმანის განცხადებით, აშშ-ის პრეზიდენტის ადმინისტრაციაში კვლავ განიხილავენ რუსეთის პრეტენზიებს და წერილობით ამ კვირაში უპასუხებენ. რიაბკოვის თქმით: „...რუსეთის მხარეს გვჭირდება მყარი, დოკუმენტურად დადასტურებული გარანტიები და არა მხოლოდ დაპირებები“. მოკლედ, მხარეებმა კომპრომისს ვერ მიაღწიეს. ვენდი შერმანის განცხადებით: „...რუსეთის ცალკეული წინადადებები ჩემი ქვეყნისთვის მიუღებელია“.

საყოველთაოდ ცნობილია, დღეს ნატო-რუსეთის ურთიერთობა კრიტიკულად დაბალ დონეზეა. უფრო მეტიც, შარშან რუსეთმა საერთოდ გაწყვიტა ყოველგვარი ურთიერთობა ალიანსთან. მოლაპარაკებების მომდევნო რაუნდი რუსეთმა ბრიუსელში, ნატოს შტაბ-ბინაში გამართა. შეხვედრას ალიანსის 30-ივე წევრი ქვეყნის წარმომადგენელი ესწრებოდა. რუსეთის დელეგაციას საგარეო საქმეთა მინისტრის მეორე მოადგილე ალექსანდრ გრუშკო ხელმძღვანელობდა, რომელიც წლების წინ ნატოს ოფისში რუსეთის წარმომადგენლად მუშაობდა და კარგად იცნობს იქაურ სტრუქტურას. მასთან ერთად ბრიუსელში იმყოფებოდა თავდაცვის მინისტრის მოადგილეც.

სტოლტენბერგი შეხვედრის წინ ოპტიმისტურად იყო განწყობილი. მან განაცხადა: „...მოხარულები ვართ რუსეთის მხარესთან მოლაპარაკების დაწყებით. რაც, იმედია, მომავალშიც გაგრძელდება“. ნატო-რუსეთის სამიტი 4 საათს გაგრძელდა, დაგეგმილზე 2 საათით მეტ ხანს. მოლაპარაკება დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა. „მარტივი შეხვედრა არ იყო, მაგრამ სასარგებლო, მნიშვნელოვანი მოლაპარაკება გვქონდა“, — განაცხადა სტოლტენბერგმა სამიტის დასრულების შემდეგ, ბრიფინგზე. მისივე თქმით, „...ჩვენ არ წავალთ არანაირ კომპრომისზე, თუ რომელიმე ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას საფრთხე დაემუქრება, არ წავალთ კომპრომისზე, ქვეყნებს შევუზღუდოთ არჩევანის შესაძლებლობა, რომელ ორგანიზაციაში, ალიანსში გაერთიანდნენ თავიანთი უსაფრთხოებისთვის“.

„...კონსტრუქრიული, მაგრამ უშედეგო დიალოგი გვქონდა... რუსეთმა პირდაპირ და გულახდილად უთხრა ალიანსს, რომ ნატოს გაფართოება საფრთხეს შეუქმნის ევროპის უსაფრთხოებას“, — თავის მხრივ განაცხადა გრუშკომ.

დიალოგის დაწყების მიუხედავად, ორივე მხარე მკვეთრ განცხადებებს არ ერიდება. გავრცელებული ინფორმაციით, კონგრესში განიხილავენ რუსეთის ხელისუფლებისთვის, მათ შორის პრეზიდენტ პუტინისთვის სანქციების დაწესებას. რუსეთის პრეზიდენტის პრესსამსახურის უფროსის დმიტრი პესკოვის შეფასებით, მათი ხელისუფლებისთვის სანქციების დაწესება ზღვარგადასული ზომები იქნება, რაც ქვეყნებს შორის ურთიერთობის სრულ გაწყვეტას გამოიწვევს. აშშ-ის პრეზიდენტის თანაშემწის ჯეკ სალივანის განცხადებით, რუსეთის წინააღმდეგ მხოლოდ ეკონომიკური სანქციებით არ შემოიფარგლებიან და, შესაძლოა, ევროპაში გაზარდონ ჯარების კონტინგენტი. ამის შესახებ გრუშკომ უპასუხა, რომ რუსეთს გააჩნია სამხედრო-ტექნიკური პოტენციალი, რომელსაც ეფექტურად გამოიყენებს საფრთხის შემთხვევაში.

აშშ-სა და ნატოში განსაკუთრებით აშფოთებთ რუსეთის ჯარების ყოფნა უკრაინის საზღვრებთან. თეთრ სახლსა და პენტაგონში მტკიცებით ფორმაში აცხადებენ, რომ ახლო მომავალში რუსეთი უკრაინაში შეიჭრება. ჩNN-ის ჟურნალისტის კითხვაზე, შეიჭრება თუ არა რუსეთი უკრაინაში, პესკოვმა უპასუხა: „გარანტიებს ვერ მოგცემთ“. ჩვენთვის საინტერესოა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე 13 წელია იმყოფება რუსეთის ჯარი, მაგრამ ნატო-რუსეთის სამიტზე არაფერი უთქვამთ. საკითხავია, აფხაზეთსა და სამაჩაბლოს აღარ თვლიან საქართველოს ტერიტოტიებად ჩვენი პარტნიორები?

განვლილ მოლაპარაკებებს აფასებენ უცხოელი ჟურნალისტები. ამერიკელი მიმომხილველების აზრით, რუსეთი უკან დახევას არ აპირებს. პუტინმა პისტოლეტი შუბლზე მიაბჯინა ბაიდენსო. ევროპელი ჟურნალისტები აღნიშნავენ, რომ ევროკავშირი თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდა, რადგან ნატო-რუსეთის სამიტზე, სადაც ევროპის უსაფრთხოების საკითხიც განიხილებოდა, არ მიიწვიეს. ამასთან, შიშობენ, აშშ-რუსეთი ევროპელების გარეშე შეთანხმდებიან, მოხდება ახალი გეოპოლიტიკური გადანაწილება, ევროპელები კი არაფერს მიიღებენ.

განვლილი სამიტების შესახებ საინტერესო შეფასება გააკეთა ისრაელელმა პოლიტოლოგმა და სამხედრო ექსპერტმა იაკობ კედმიმ: „რუსერთმა, ფაქტობრივად, ულტიმატუმი წაუყენა აშშ-ს, ნატოს და საკუთარ თავსაც, რადგან ამით უფლება არ დაიტოვა, წაავგოს დიპლომატიური ომი. ახლა დაელოდება პასუხს აშშ-ისგან და ამის შემდეგ გადაწყვეტს, დაიწყოს თუ არა მოლაპარაკება, რომელიც ჯერ არ დაწყებულა. განვლილი სამიტები მხოლოდ პოზიციების გაცნობა იყო და არა მოლაპარაკებები. რუსეთი არ მოითმენს ნატოს არდაბრუნებას 1997 წლამდე არსებულ საზღვრებში. მთავარი მოვლენები ჯერ კიდევ წინ არის. აქვე გასათვალისწინებელია, რა პოზიციას დაიკავებს ჩინეთი“.

სამშვიდობო ძალების მისია ყაზახეთში დასრულებულად გამოაცხადა ქვეყნის პრეზიდენტმა კასიმ-ჟომარტ ტოკაევმა.. თანამეგობრობის კოლექტიური უსაფრთხოების ორგანიზაციის წევრმა ქვეყნებმა გაიყვანეს თავიანთი სამხედროები. სამშვიდობო ოპერაციაში მონაწილე ქვეყნების მეთაურებმა მისია წარუმატებლად შეაფასეს. ყაზახეთი უბრუნდება ჩვეულ ცხოვრებას, თუმცა ტერორისტების ძებნა-დაკავებები გრძელდება. ტოკაევმა დახმარებისთვის მადლობა გადაუხადა უსაფრთხოების ორგანიზაციას. განსაკუთრებით აღინიშნა რუსეთის წვლილი. ყაზახეთში მოხმდარი არეულობა კვლავაც განხილვის საგნად რჩება. ტოკაევის განცხადებით, ცალკეული ძალოვანი მაღალჩინოსნების მხრიდან საბოტაჟს ჰქონდა ადგილი. პრეზიდენტის მტკიცებით, ადგილი ჰქონდა სახელმწიფო გადატრიალების მცდელობას, რისი აცილებაც შეძლეს სამშვიდობო ძალების მეშვეობით. ყოფილი პრეზიდენტი ნურსულთან ნაზარბაევი, რომელიც უშიშროების საბჭოს მდივნის თანამდებობას იკავებდა, ქვეყნიდან წავიდა. მისი ადგილსამყოფელი ჯერ უცნობია. ჯერ მხოლოდ ვარაუდობენ, რომ მომხდარ არეულობებში ნაზარბაევის ხელიც ურევია.

ჯერ კიდევ დაუზუსტებელია დაღუპულთა ზუსტი რაოდენობა. ბოლო მონაცემებით, 230-მდე ადამიანია დაღუპული, მაგრამ, შეიძლება, ეს ციფრი შეიცვალოს. გაირკვა, რომ ამბოხებულები თავიანთ მიცვალებულებს იტაცებდნენ, რათა კვალი დაეფარათ. უცხო ქვეყნების მოქალაქეების მონაწილეობა არეულობებში მტკიცდება. ახლა იკვლევენ, კონკრეტულად რომელი ქვეყნებიდან იყვნენ ისინი. მატერიალურმა ზარალმა, შესაძლოა, რამდენიმე მლრდ აშშ დოლარს გადააჭარბოს. ზუსტი თანხის დასახელენა ჯერ რთულია, რადგან დანაკარგის დათვლა გრძელდება. განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობაშია ყოფილი დედაქალაქი ალმა-ატა და მასთან ახლოს მდებარე ქალაქები. არშემდგარი სახელმწიფო გადატრიალების გამო უკმაყოფილოებიც არიან. ვაშინგტონი ყაზახეთისგან პასუხს ითხოვს — რატომ მიმართა პრეზიდენტმა დახმარებისთვის თანამეგობრობის კოლექტიური უსაფრთხოების ორგანიზაციას.

გია ბურდული
551 71 27 07

# კორონავირუსი – ზოგისთვის დიდი უბედურება, ზოგისთვის დიდი ბიზნესი



2020 წლის იანვარში, როცა მთელი მსოფლიო ახალი წლის დადგომას ზეიმობდა, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ახალი ვირუსი მსოფლიოში თავის წესებს დაამყარებდა და გვაიძულებდა ცხოვრების ახალ სტილზე გადასვლას. დღეს მსოფლიო ებრძვის კოვიდით გამოწვეულ საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და ეკონომიკურ კრიზისს. ამ პანდემიამ კიდევ უფრო ნათლად გამოაჩინა ინფექციური დაავადებების ძალა, მათი კავშირი გარემოსდაცვით პრობლემებთან, მმართველობის ხარვეზებთან, სოციალურ-ეკონომიკური კრიზისთან და სიღარიბის ზრდასთან. პანდემიის შედეგები თითქმის ყველა ქვეყანას შეეხო. მოსახლეობის უმეტესობამ დაკარგა სამსახური, რამაც უმუშევრობის დონის ზრდა გამოიწვია. ყველაზე დიდი დარტყმა ტურიზმის და ტრანსპორტის სფერომ მიიღო. დაიხურა სასტუმროები, რესტორნები, შეწყდა ფრენები, გაჩერდა წარმოება, ბარელი ნავთობის ფასი თავის ისტორიულ მინიმუმზე ჩამოვიდა. ექსპერტთა მოსაზრებით ტურიზმის სექტორმა იმდენად ძლიერად დახურა კარები, რომ პანდემიამდე არსებულ სიტუაციას ამ სფეროში მხოლოდ 2025 წლისთვის მიაღწევს. ვინ მდიდრდებოდა მაშინ როდესაც მსოფლიო უკუსვლას განაგრძობდა? რა თქმა უნდა, ფარმაცევტული კომპანიები. მთელი მსოფლიოს მასშტაბით მთავრობებმა მილიონობით დოლარი დახარჯეს კოვიდ19-ის ვაქცინისა და სამკურნალო პრეპარატების შესაქმნელად. იმ ფარმაცევტული კომპანიის აქციების ფასები, რომლებიც ჩართულნი იყვნენ ვაქცინის დამზადების პროცესში, მკვეთრად გაიზარდა. ფარმაცევტული კომპანიების გარდა, არსებობს სხვა სფეროები, სადაც მოგება მნიშვნელოვნად გაიზარდა, პანდემის გავლენით. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია კომპანიები, რომლებიც მიტანის სერვისს სთავაზობენს მოსახლეობას. საქართველოში ამ სფეროში ორი ძირითადი ფირმა დომინირებს. ესენია ვოლტი და გლოვო, რომელთა გაყიდვების მაჩვენებელი კორონა პანდემიის ფონზე მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამას ხელი შეუწყო იმ ფაქტმა, რომ პანდეემის პერიოდში მოსახლეობის უმეტესობა თავს არიდებს ხალხმრავალ ადგილებს და ურჩევნია ისარგებლოს მიტანის სერვისით, იქნება ეს საკვების, მედიკამენტების, თუ სხვა აუცილებელი პოდუქტების შეძენა. სოლიდური მოგება ნახეს, ინტერნეტ და მობილურ კომუნიკაციებში ჩართულმა კომპანიებმა, რომლებმაც წარმოუდგენელი ზრდა განიცადეს პანდემიის პერიოდში. მიუხედავად იმისა, რომ პანდემიამდეც არსებობდა ინტერნეტი და ტელეფონი, საკომუნიკაციო ტექნოლოგიების როლი დღევანდელ მსოფლიოში უფრო მეტად გაიზარდა. კომპანიების უმეტესობა გადავიდა დისტანციური მუშაობის რეჟიმზე, რამაც საჭირო გახადა ისეთი ინტერნტ პლატფორმების დანერგვა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნებოდა სახლიდან გაუსვლელად მუშაობა, მოლაპარაკება, თათბირის ჩატარება და ასე შემდეგ. საკმაოდ დიდი წარმატებით განხორციელდა ონლაინ სწავლების დანერგვა, რომელიც მნიშვნელოვანი იყო, როგორც სკოლებისთვის, ისე უმაღლესი სასწავლო დაწესებულებებისათვის. ამ საკითხის გადაჭრაში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული გამოდგა კომპანია ზუმი. პანდემიამდე ზუმის დღიური მომხმარებლების რაოდენობა მხოლოდ ათ მილონს შეადგენდა, 2020 წლის მარტში კი ამ რიცხვმა ორას მილიონს გადააჭარბა. ზუმის გაზრდილი პოპულარობა საფონდო ბირჟებზე უყურადრებოდ არ დარჩენილა. როდესაც ზუმმა ღია ბაზარზე პირველად გაყიდა აქციები, მისი ღირებულება მხოლოდ 15.9 მილიარდი აშშ დოლარი იყო, 2020 წლის ივლისში კი მისმა ფასმა ორმოცდათვრამეტ მილიარდს მიაღწია. მსოფლიო ჯერ კიდევ მრავალი გამოწვევის წინ დგას. რადგან, არ დარჩა არც ერთი სფერო, რომელსაც კორონა ვირუსი არ შეეხო. არსებობს ბიზნესები და სახელმწიფოები, რომლებიც გამარჯვებულები გამოვლენ პანდეემიდან, როგორიცაა მაგალითად ფარმაცევტული კომპანიები, ონლან მომსახურებისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მწარმოებელი ფირმები, მიტანის სერვისის კომპანიები და სხვა მრავალი, რომელთაც მოახერხეს კორონა ვირუსის ბიზნეს გარემოსთან ადაპტაცია და სიახლეების დანერგვა. ჩინეთის ეკონომიკა უდაოდ ანგარიშგასაწევი ძალა იქნება პოსტ-კოვიდურ მსოფლიოში, მაგრამ მეორეს მხრივ კორონას ზეგავლენის შედეგად ბიზნესის გარკვეული სფეროები შეიძლება სრულიად გაქრეს მომავალში, დანარჩენებს კი ბრძოლა მოუწევთ საკუთარი პოზიციების აღსადგენად. კორონავირუსმა ჩვენი ცხოვრება შეცვალა. მთელ მსოფლიოში დაუჯერებელი რაოდენობის ადამიანს შეეყარა და მას, დღემდე უამრავი ეწირება. ხელშეუხებელი არ დარჩა ცხოვრების არც ერთი ასპექტი: სამსახური, სკოლა, ოჯახი. ოცდამეერთე საუკუნეშიც კორონავირუსის ეპიდემიამ მივიწყებული სიმბოლოებიც შეგვახსენა და, შესაძლოა, იგი განმანათლებლობის და პიროვნული თავისუფლების იდეალებსაც შეეხოს. ფრედერიკ კეკი ამბობს: „შიდსის ეპიდემიამ, რომელიც სექსუალური გზით ვრცელდებოდა, შეზღუდა აბსოლუტური სექსუალური თავისუფლების იდეა, რომელიც 1968-იანების თაობას ახასიათებდა. მსგავსადვე, კოვიდ-19-ის ეპიდემია, რომელიც პლანეტის გარშემო ელვასავით გავრცელდა, ალბათ გავლენას მოახდენს თავისუფალი გადაადგილების იდეალზე, რომელიც 1990-იანი წლებისათვის იყო დამახასიათებელი. თუკი შიდსის თაობას სექსუალური თავისუფლების შეზღუდვა მოუწია, კლიმატის ცვლილების თაობას ალბათ მუდმივ, მსოფლიში დაუსრულებელ ყიალზე მოუწევს უარის თქმა“. რთულია იმის განსაზღვრა, პანდემიის დასრულების შემდეგ როგორი იქნება მსოფლიო სადაც რიგი მიზეზების გამო, ისედაც ურთიერთობაგაციებულ ხალხს ბევრად უარეს გაუცხოებულ გარემოსთან მოუწევს ადაპტირება. ბავშვების და ახალგაზრდების „ონლაინ“ ურთიერთობიდან ჩვეულებრივზე გადასვლაც არ იქნება იოლი. საოცრად გაცრეცილი, მივიწყებული ადამიანურობა და ერთმანეთის სიყვარულიც, ვინ იცის რამდენი ხნით მიგვატოვებს. სამწუხაროდ, ფიქრის, განსჯის, სინანულის სურვილი დღეს მცირედს თუ აქვს. პანდემიამ, მრავალთ გაახსენა იესოს სიტყვები, „ბრმები ხართ და ბრმათა წინამძღოლნი...“ „უყურებენ, მაგრამ ვერ ხედავენ, ესმით, მაგრამ ვერ იგებენ...“ როდესაც კორონავირუსით გამოწვეულმა შიშმა მთელი მსოფლიო მოიცვა, მედიაში თუ სოციალურ ქსელში იხსენებდნენ ფილმებს და ნაწარმოებებს რომლებიც წლების წინ შეიქმნა და მათმა გმირებმა პანდემიით გამოწვეული ჯოჯოხეთი გაიარეს. ვფიქრობ, ყველაზე საინტერესო და ამაღელვებელი გახლდათ, პორტუგალიელი ნობელიანტი მწერლის, ჟოზე დე სოუზა სარამაგუს „სიბრმავე“, ხაზგასმული ადამიანური ფაქტორითა და ალეგორიული ქვეკონტექსტებით. ნაწარმოების მოკლე შინაარსი ასეთია: ქალაქში იწყება სიბრმავის მოულოდნელი ეპიდემია, რომელიც სწრაფად ვრცელდება. მთავრობა დაავადებულებს კარანტინში მოათავსებს, რომელშიც გაუსაძლისი საცხოვრებელი პირობებია. კარანტინს ჯარი იცავს. იზოლირებული ადამიანების ზრდასთან ერთად კარანტინის შიგნით იწყება ომი, წყლისა და საკვებისათვის. კარანტინის შიგნით სხვადასხვა ჯგუფები სხვადასხვანაირად იქცევიან: ერთი, რომელშიც მოხვდება პროტაგონისტი (ექიმი) და მისი ცოლი (ერთადერთი ადამიანი, რომელიც არ დაბრმავებულა, მაგრამ იმისათვის, რომ ქმარს კარანტინში გამოჰყოლოდა, მოიტყუა, რომ დაბრმავდა), ცდილობს თანასწორობისა და სოლიდარობის წესებით იცხოვროს. მეორე ჯგუფი კი, რომელშიც იარაღი აღმოჩნდება, ჩაგვრისა და წართმევის გზას დაადგება და მალე მთელი კარანტინის ტერორიზებას მოახერხებს. ექიმის ცოლი მის მოკვლას შეძლებს, კარანტინი კი დაიწვება. აღმოჩნდება, რომ კარანტინს აღარავინ იცავს და მთელ ქალაქში მთლიანად მოშლილია ყველანაირი წესრიგი. სარამაგუ პანდემიით გამოწვეულ სრულ უკანონობასა და უწესრიგობას გვიჩვენებს, რომელიც ადვილად შეგვიძლია შევადაროთ ყველას ომს ყველას წინააღმდეგ, ექიმი და მისი ცოლი ფიქრობენ, როგორი წესებით შეიძლება მოაწყონ თავიანთი მიკროსაზოგადოება. ეპიდემია გადაივლის და ქალაქის მცხოვრებლებს ნელ-ნელა მხედველობა უბრუნდებათ. იქ ახალი სამყარო იქმნება, რომელსაც ხან ექიმის ცოლის, ხანაც ავტორის თვალით ვაკვირდებით. ეს ისაა, რაც სამყაროს შესაცნობად გაკლდა, ბრმები რომ არ არსებობენ და არსებობს სიბრმავე, რომელშიც, თურმე, ისე ცხოვრობდი, თან ისე არხეინად, მხოლოდ სხვის გახელილ თვალებს ხედავდი, საკუთარი სიბრმავითა და სიყრუით. ეს არის წიგნი სინანულზე. სინანული წუხილია იმაზე, როგორებიც ვართ. რადგან ექიმის ცოლივით ვერ შევძლებდით ცხოვრებას. ბრმებში ვერ ვიცხოვრებდითთ, ვერ ავიტანდით, ვერ ვაპატიებდით, მერე, ბოლოს ცაში ვერ ავიხედავდით, მერე დაბლა ჩამოტარებული მზერით მიწას ვერ შევხედავდით და, რაც მთავარია, ვერ მივხვდებოდით და სანამ დაბრმავებულები ღვთის ნებას ეწინააღმდეგებიან, კაცთა მოდგმა სიბრმავიდან ვერ ამოვა! დაბოლოს, ეს არის წიგნი, როგორი არ უნდა იყოს ადამიანი..., ექიმის ცოლი წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა, ქვემოთ ნაგვით გავსებული ქუჩები დაინახა, ადამიანები, რომლებიც მღეროდნენ და ყვიროდნენ. მერე ზეცას ახედა და სრული სითეთრე დაინახა. გაიფიქრა, აი, ჩემი ჯერიც დადგაო, შიშმა თვალები ძირს დაახრევინა, ქვემოთ კი ქალაქი ისეთივე დარჩა, როგორიც იყო.“






მარიამ ჯანჯღავა
511 17 73 72

# ნარკოტიკები არა მარტო ადამიანებს, არამედ ბუნებასაც ღუპავს

ყოველწლიურად ნარკოტიკების მოხმარებისგან მსოფლიოში ასეულობით ათასი ადამიანი კვდება. აკრძალული ნივთიერებების წარმოება, ტრანსპორტირება და გამოყენება დამღუპველად მოქმედებს ეკოლოგიაზეც. დღეისათვის მიიჩნევა, რომ დედამიწას ყველაზე მეტად მრეწველობა და სოფლის მეურნეობა აბინძურებს. მაგრამ

კანაბისი (კანაფი), კოკაინი, ოპიუმი და ექსტაზი გარემოზე კატასტროფულ გავლენას ახდენს — მათ გამო უკონტროლოდ ანადგურებენ ტყეებს, ნიადაგში სახიფათო ნაპრალები ჩნდება, წყალი კი სიცოცხლისთვის საშიში ნივთიერებებით ბინძურდება...

## მასობრივი დეჰიდრატაცია

გაეროს მონაცემებით, 2020 წლისთვის აკრძალულ ნივთიერებებს 275 მლნ ადამიანი მოიხმარდა, 2019-ში კი ნარკოტიკების მოხმარების შედეგად დაახლოებით 500 ათასი ადამიანი გარდაიცვალა. ნარკომომხმარებელთა რაოდენობის ზრდა კორონავირუსის პანდემიამ და საკარანტინო შეზღუდვებმა გამოიწვია, რაც ნეგატიურად აისახა ადამიანების ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე.

აშშ-ში 2019–2020 წლებში დოზის გადაჭარბებით 81 ათასზე მეტი ადამიანი გარდაიცვალა.

მსოფლიოში ყველაზე პოპულარულ ნარკოტიკად მარიხუანა მიიჩნევა. გაეროს მონაცემებით, პლანეტაზე მას 192 მლნ ადამიანი მოიხმარს. მსოფლიოში კანაბისზე აკრძალვები იხსნება. გერმანიაში, ინგლისში, საფრანგეთში, იტალიაში, არგენტინაში, ავსტრალიასა და ევროპის, აფრიკისა და აზიის ზოგიერთ ქვეყანაში მისი გამოყენება სამედიცინო მიზნებით დაშვებულია. გარდა ამისა, ჰოლანდიაში, ესპანეთში, საქართველოში, ბრაზილიაში, მექსიკასა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში მისი გამოყენება სამართლებრივად არ ისჯება. კანადასა და ურუგვაიში კი მარიხუანას მოხმარება ლეგალურია.

აშშ-ში კანაბისის გამოყენება ფედერალურ დონეზეა აკრძალული. თუმცა 33-მა შტატმა მისი სამედიცინო მიზნით გამოყენება დაუშვა, ხოლო 11-მა შტატმა — პირადი მიზნით. Barclays Bank-ის შეფასებით, კანაბისის ლეგალური ბაზრის მოცულობა დაახლოებით 28 მლრდ დოლარია, რაც 2022 წლისთვის, შესაძლოა, 40 მლრდ-მდე გაიზარდოს.

კანაბისის მოყვანისთვის საჭიროა ინფრასტრუქტურა ოპტიმალური განათებით, ვენტილაციითა და სარწყავი სისტემით. ლეგალურად ის, ძირითადად, სპეციალურ სათბურებში მოჰყავთ, რაც კოლოსალურ რესურსებს მოითხოვს.

მეცნიერების გამოთვლებით, კანაბისის ღიად მოყვანის გამო ბევრ მდინარეში წყლის დონე მეოთხედამდე შემცირდა.

## აყვავებული უდაბნოები

კალიფორნიის დიდი პრობლემა მიწიდან წყლის უკონტროლო ამოქაჩვის გამო ნიადაგის დაწევაა. ამის ნათელი მაგალითია პატარა ქალაქი კორკორანი, რომელიც პირდაპირი გაგებით მიწაში ჩადის. მიწიდან წყლის ამოქაჩვა ქალაქის მცხოვრებთათვის ნამდვილ კატასტროფად იქცა — წყლის გაყვანილობის სისტემა მთლიანად დაინგრა. მთავარი პრობლემაა ის, რომ ნიადაგის დაწევა მიწისქვეშა წყლის შემცველი ჰორიზონტების მოცულობას შეამცირებს, რაც წყლის მარაგზე უარყოფითად აისახება.

ანალოგიური მდგომარეობაა ავღანეთში. აქ არის მსოფლიოს ოპიუმის ყაყაჩოს ნათესების 84 პროცენტი. ყაყაჩოს მინდვრები, ძირითადად, ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთში მდებარეობს, სადაც ადრე მხოლოდ უდაბნო იყო. ახლა იქ დაახლოებით 1,5 მლნ ადამიანი ცხოვრობს, რომლებიც პურის ფულს ნარკოტიკების წარმოებით შოულობენ. გაეროს ანალიტიკოსების შეფასებით, 2020 წლისთვის ყაყაჩოს ნათესებმა ავღანეთში დაახლოებით 224 ათასი ჰა შეადგინა, რაც 2019 წელთან შედარებით 37%-ით მეტია.

გვალვიანი რაიონები მწვანე მინდვრებად გადაიქცა ათეულათასობით ტუმბოს წყალობით, რომლებიც მზის ბატარეებზე მუშაობს და მიწის სიღრმიდან ექაჩება წყალს. შედეგად, 1990-იანი წლებიდან იმ რეგიონებში მიწამ სამ მეტრამდე მაინც დაიწია. ახლა წყლის მოსაპოვებლად მიწის სიღრმეში 130 მ-მდე ჩადიან, რაც ნიადაგის კიდევ უფრო დაწევას გამოიწვევს.

გარდა ამისა, მავნებლებთან და სარეველებთან ბრძოლისთვის ძლიერმოქმედ პესტიციდებს იყენებენ. მათი დიდი ნაწილი ნიადაგსა და გრუნტის წყლებში რჩება. კიდევ უფრო დიდ საფრთხეს ნიტრატები წარმოადგენს. ბოლოდროინდელი კვლევების შედეგად გამოვლინდა, რომ მათი რაოდენობა დაშვებულს რამდენჯერმე აღემატება. ამ ნივთიერებების ადამიანის ორგანიზმში



მოხვედრა სახიფათოა მომავალი თაობებისთვის და ზრდის „ლურჯი ბავშვის სინდრომს“, რაც გულის მანკს და ახალდაბადებულის გარდაცვალებას იწვევს.

## ნარკოტიკები და როკ-ენ-როლი

ბევრი მავნე ნივთიერება ნიადაგს აბინძურებს სინთეთიკური

ნარკოტიკების წარმოების დროსაც. მაგალითად, ერთი კგ სუფთა MDMA-ს (იგივე ექსტაზი — ამფეტამინის რიგის ნახევრადსინტეტიკური ფსიქოაქტიური შენაერთი) წარმოების შემდეგ რჩება დაახლოებით 10კგ. ტოქსიკური ნარჩენები, ხოლო 1კგ. ამფეტამინის წარმოების შემდეგ — დაახლოებით 30 კგ-მდე. ლაპარაკია აცეტონზე, მარილმჟავასა და ნატრიუმის ჰიდროქსიდზე — ნივთიერებებზე, რომლებიც სპეციალურ უტილიზაციას მოითხოვს, მაგრამ ამ წესებს არავინ იცავს და ქიმიკატები, უბრალოდ, მდინარეებში ხვდება. ნარჩენების დიდი ნაწილი — გამხსნელები, აბინძურებს წყალს და გარემოს მჟავიანობის დონეს ამცირებს, რის გამოც მცენარეები და მიკროორგანიზმები იღუპება.

ამ მხრივ, ყველაზე ცხელ წერტილებად ნარკოტიკების გამოყენების მიმართ ტოლერანტობისა და მათი დამამზადებლების მიმართ დაბალი ჯარიმების გამო, ბელგია და ნიდერლანდები მიიჩნევა.

ნიდერლანდების წყლის რესურსების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შეფასებით, მარტო 2017 წელს ნიადაგში 7000 ტონამდე მავნე ნივთიერება მოხვდა.

ბუნებას ზიანს არამხოლოდ ნარკოტიკების დამზადება, არამედ მათი მოხმარებაც აყენებს, ნარკოტიკების ნაწილი ორგანიზმიდან ადამიანის ცხოველმოქმედების შედეგად გამოიყოფა, რის შედეგადაც საშიში ნივთიერებები პირდაპირ წყალში და ნიადაგში ხვდება. თვალსაჩინო მაგალითი მოიყვანეს დიდი ბრიტანეთის ბანგორის უნივერსიტეტის მეცნიერებმა. გლასტონბერიში, სადაც როკ-ფესტივალი ჩატარდა, მეთილენდიოქსიმეტანფეტამინის (MDMA, იგივე ექსტაზი) დონე რამდენიმე კვირის განმავლობაში 104-ჯერ უფრო მაღალი იყო მდინარის ქვედა ნაწილში იმ ადგილიდან, სადაც ფესტივალი ჩატარდა, ვიდრე მდინარის ზედა ნაწილში.

## მანიაკური გაკაფვა

ნარკოტიკების წარმოება კიდევ ერთ სერიოზულ ეკოლოგიურ პრობლემას ამძაფრებს — ეს ტყეების განადგურებაა. გაეროს შეფასებით, ყოველწლიურად, სახნავი მიწების ზრდისა და ადამიანის სხვა მოქმედების შედეგად 10 მლნ ჰა ტყე და ხეთა ნარგავები ნადგურდება, რაც პლანეტის ბიოლოგიური მრავალფეროვნების სწრაფ შემცირებას იწვევს.

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში იშვიათი ხეები იკაფება, რადგან მათ ფესვებში ექსტაზის წარმოებისთვის აუცილებელი ერთ-ერთი ძირითადი ინგრედიენტი მოიპოვება. ყოველწლიურად მილიონობით მცენარე ოჭრება, რომლებსაც CO2 უნდა გაენადგურებინა. შედეგად, ეს აირი ატმოსფეროში ხვდება და სათბურის ეფექტს აძლიერებს. მექსიკიდან ცენტრალურ ამერიკამდე გადაჭიმულ ტყეებში მრავალფეროვანი მცენარეები და ცხოველები მოიპოვება. მიუხედავად ბევრი მცდელობისა, ამ რეგიონში კატასტროფული ტემპებით იკაფება ტყეები.

კოკაინის უკანონო ბრუნვა ბოლო ათწლეულის განმავლობაში გონდურასის, გვატემალასა და ნიკარაგუას ტყეების 30 პროცენტის განადგურების მიზეზი შეიძლება გახდეს.

მაგალითად, ბოლივიაში, პერუსა და კოლუმბიაში, სადაც კოკა მოჰყავთ, უმოწყალოდ იკაფება ტყეები. ხეებს მასიურად ანადგურებენ, რათა კოკაინის პლანტაციებისთვის ადგილი მოათავისუფლონ. მარტო ტყეებს კი არ კაფავენ, არამედ ბუნებრივ ნაკრძალებსიც კი, რაც ტყეების განადგურებასა და ცხოველების ბინადრობის ადგილების დაკარგვას იწვევს.

კოლუმბიის ხელისუფლება კოკას პლანტაციებს ჰაერიდან მაღალი კონცენტრაციის ჰერბიციდს — გლიფოსატს ასხურებს. ამგვარ მიდგომას შედეგი არ მოაქვს, რადგან ნარკოკარტელები უკვე მიწის სხვა ტერიტორიებზე კაფავენ ტყეს. დღეისათვის ამაზონის კოლუმბიის რაიონში კოკას დაახლოებით 500 კვ კმ ფართობი უკავია.

ბელა გველესიანი
568 90 81 22

# „საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

**„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი მთვარისა კევლიშვილი. ტელ.: 593 78 64 69**

* * *

**— საავტორო უფლებებთან დაკავშირებით, რომელი კანონით უნდა ვიხელმძღვანელო?**

საავტორო სამართლით მოწესრიგებული საავტორო ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები, აგრეთვე ზოგიერთი მათი მომიჯნავე უფლების დაცვა ხორციელდება „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად.

* * *

**— შეიძლება თუ არა საქორწინო ხელშეკრულების დადება სანოტარო დადასტურების გარეშე?**

— არა, არ შეიძლება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1174 -ე მუხლსი მიხედვით, საქორწინო ხელშეკრულება იდება წერილობით და დასტურდება სანოტარო წესით.

* * *

**— პირველი ინსტანციის სასამართლომ ჩემს სასარგებლოდ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომელიც მოწინააღმდეგე მხარემ გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოში. მივმართე სააღსრულებო სამსახურს, რომელმაც არ აღასრულა გადაწყვეტილება. რამდენად სამართლიანია ეს?**

- ეს სამართლიანია, რადგან გადაწყვეტილება გასაჩივრებულია სააპელაციო წესით. ანუ, მას არ აქვს დასრულებული სახე, რაც იმას ნიშნავს, რომ გადაწყვეტილება არ არის შესული კანონიერ ძალაში. დაელოდეთ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას და ასევე, შემდეგ, თუ რომელიმე მხარემ გაასაჩივრეთ საკასაციო ინსტანციაში — საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას.

ასევე, დამატებით გეტყვით შემდეგს: არსებობს მოთხოვნები, რომელთა დაუყოვნებლივი აღსრულება ხდება 1- ლი ინსტანციის სასამართლოში. თქვენ არ აღგინიშნავთ თქვენს შეკითხვაში, ექვემდებარებოდა თუ არა სასამართლოს გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ აღსრულებას. თუ ექვემდებარებოდა, მაშინ სააღსრულებო სამსახური არ უნდა დაელოდოს სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის გადაწყვეტილებებს.

წარმოგიდგენთ შესაბამის კანონის ნორმას დაუყოვნებლივ აღსრულების თაობაზე და დასკვნები თავად გამოიტანეთ:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 268-ე მუხლი: დაუყოვნებლივ აღსასრულებელი გადაწყვეტილებები

1. სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით მთლიანად ან ნაწილობრივ დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადასცეს გადაწყვეტილებები:

ა) ალიმენტის მიკუთვნების შესახებ;

ბ) დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით, აგრეთვე მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ასანაზღაურებლად გადასახადების დაკისრების შესახებ;

გ) მუშაკისათვის არა უმეტეს 3 თვის ხელფასის მიკუთვნების შესახებ;

დ) უკანონოდ დათხოვნილი ან გადაყვანილი მუშაკის სამუშაოზე აღდგენის შესახებ;

ე) (ამოღებულია);

ე 1) უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის შესახებ;

ვ) თამასუქისა და ჩეკის თაობაზე გამოტანილი გადაწყვეტილებები;

ზ) ყველა სხვა საქმეზე, თუ განსაკუთრებულ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების აღსრულების დაყოვნებამ შეიძლება გადამხდევინებელს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს, ან თუ გადაწყვეტილების აღსრულება შეუძლებელი აღმოჩნდება. (ძალადაკარგულია „ზ“ ქვეპუნქტის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს სადავო ქონების საკუთრებაში გადაცემის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულებას, რომელიც მის შედეგად დაცული სიკეთე არ აღემატება აღსრულების დაყოვნების შედეგად მიყენებულ ზიანს) — საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება N1/5/675,681 — ვებგვერდი, 11.10.2016წ.



11. ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავებთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა მიექცეს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებით. ასეთ შემთხვევაზე არ ვრცელდება ამ მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული მოთხოვნები. აღსრულება არ შეჩერდება ამავე დავის საგანზე მესამე პირის სარჩელის საფუძველზედაც.

2. გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების დაშვებისას სასამართლოს შეუძლია მოსთხოვოს მოსარჩელეს გადაწყვეტილების აღსრულების შებრუნების უზრუნველყოფა სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში.

3. გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება არ დაიშვება, თუ შეუძლებელია იმ ზარალის ზუსტად გამოთვლა, რომელიც შეიძლება მიადგეს მოწინააღმდეგე მხარეს, რის გამოც მეორე მხარე ვერ შეძლებს მის უზრუნველყოფას.

* * *

**— რომელი ქონება ითვლება მეუღლეთა ინდივიდუალურ საკუთრებად?**

— საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1161-ე მუხლის მიხედვით, მეუღლეთა ინდივიდუალურ საკუთრებად ითვლება:

ა) ქონება, რომელიც თითოეულ მათგანს ეკუთვნოდა დაქორწინებამდე;

ბ) ქონება, რომელიც ქორწინების განმავლობაში მიღებულია მემკვიდრეობით ან ჩუქები თ.

* * *

**— განქორწინებული მეუღლე არ მაძლევს თანხმობას ჩვენი არასრულწლოვანი შვილის საზღვარგარეთ გაყვანის შესახებ. არადა, ჩვენ ყველანი ერთად ვცხოვრობდით შვედეთში. ბავშვიც იქ დაიბადა. შემდეგ მეუღლემ მიმატოვა და დაბრუნდა საქართველოში. მე შვედეთში მაქვს მაღალანაზღაურებადი სამსახური, ჩემი ვაჟიც იქ მყავს, დადის საბავშვო ბაღში და ა. შ. ბავშვი დაიბადა ჩვენი განქორწინების შემდეგ. მამას ის არასოდეს მოუკითხავს. მინდა ჩამოვიდე საქართველოში, მაგრამ იმის შიშით ვერ ჩამოვდივარ, რომ ვიცი, თანხმობას არ მომცემს ბავშვის უკან წამოყვანაზე, ოღონდ არა შვილის სიყვარულის გამო, არამედ, ჩემთან დაპირისპირების გამო, თორემ მას შვილი თვალითაც არ უნახავს. მითხრეს, რომ შეიძლება, ეს სასამართლო წესით დარეგულირდეს. როგორ მოხდება ეს?**

— დიახ, ეს შესაძლებელია სამოქალაქო კანონმდებობით, რომელიც ითვალისწინებს მშობლის ზოგიერთი უფლების შეზღუდვას. ძირითადად, სასამართლო პრაქტიკაში ზუსტად ამ ტიპის დავებია. კერძოდ, მოსარჩელეები ითხოვენ შვილის საზღვარგარეთ გაყვანისა და, ასევე, ბავშვის პასპორტის აღების ნაწილში მშობლის უფლების შეზღუდვას. ბუნებრივია, მოთხოვნა უნდა იყოს დასაბუთებული და გამომდინარე არასრულწლოვნის ინტერესებიდან.

* * *

**— როგორ ხდება სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში დარეგისტრირება?**

— გმადლობთ შეკითხვისათვის. სოციალური დახმარების შესახებ ძალიან ბევრი განცხადება შემოდის გაზეთის რედაქციაში. რამდენადაც გაზეთის ფორმატი მომცემს საშუალებას, ვეცდები ეს თემა განვავრცო, მკითხველთა ინტერესის გათვალისწინებით.

ბაზაში რეგისტრაციისათვის საჭიროა ოჯახიდან ერთ-ერთმა სრულწლოვანმა წევრმა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მიმართოს სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიულ ორგანოს და დაწეროს განცხადება სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის შესახებ.

ოჯახი მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულად ითვლება, თუ მას მინიჭებული აქვს სარეიტინგო ქულა.

სარეიტინგო ქულის მინიჭება უნდა მოხდეს განცხადებით, მიმართვიდან 3 თვის ვადაში.

განცხადების დაწერიდან 1 თვის განმავლობაში შესაბამის მისამართზე განმცხადებელს ოჯახში მიაკითხავს სოციალური აგენტი, რომელიც შეამოწმებს ოჯახის ქონებას, შემოსავალსა და ხარჯებს. შემოწმების შედეგად ივსება ოჯახის დეკლარაცია. შემდეგ კი ოჯახის შემოწმებიდან არაუგვიანეს 1 თვისა, ოჯახს მისი ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით ენიჭება სარეიტინგო ქულა.

სარეიტინგო ქულით განისაზღვრება ის, თუ რა სახის დახმარებას მიიღებს სახელმწიფოსაგან ოჯახი. დახმარება შეიძლება იყოს მატერიალური და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელიც მიმართულია მაძიებელთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ.

საარსებო შემწეობის ოდენობა ეფუძნება ოჯახის წევრთა რაოდენობასა და მინიჭებული სარეიტინგო ქულის სიდიდეს.

საარსებო შემწეობა ინიშნება უფლების წარმოშობისთვიდან, საარსებო შემწეობის დანიშვნის შესახებ, ღატაკი ოჯახის წერილობითი განცხადების საფუძველზე.

ღატაკ ოჯახს საარსებო შემწეობის მიღების უფლება ეძლევა სარეიტინგო ქულის მინიჭებიდან მეორე თვეს.

ოჯახის დეკლარაციის შევსებისას ოჯახის შემადგენლობაში არ უნდა იქნენ გათვალისწინებულნი შემდეგი პირები:

სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებული, რომელსაც კანონიერ ძალაში შესული განაჩენით შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა;

იძულებით სამკურნალოდ გაგზავნილი პირი;

ვადიან სამხედრო სამსახურში მყოფი პირი (გარდა იმ პირისა, რომელიც სამხედრო სამსახურის შესრულებისას 3 დღეში ერთხელ მაინც ბრუნდება ოჯახში);

ქვეყნის ფარგლებს გარეთ ზედიზედ 3 თვეზე მეტი ვადით წასული პირი;

სასამართლოს მიერ უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად გამოცხადებული პირი;

სპეციალიზებულ დაწესებულებაში სრულ კმაყოფაზე მყოფი პირი.

რამდენს შეადგენს ფულადი დახმარება?

2015 წლის 01 მაისამდე შეფასებული ოჯახებისთვის, რომელთა სარეიტინგო ქულაა 57001-მდე, საარსებო შემწეობა შეადგენს:

ერთსულიანი ოჯახისათვის 60 ლარს;

ორ და მეტსულიანი ოჯახისთვის 60 ლარს დამატებული 48 ლარი ოჯახის ყოველ მომდევნო წევრზე.

2015 წლის 01 მაისის შემდეგ შეფასებული ოჯახებისთვის ფულადი დახმარების ოდენობა განისაზღვრება შემდეგნაირად:

ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაც 30001-ზე ნაკლებია, განისაზღვრება 60 ლარით ოჯახის ყველა წევრზე;

ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაც 30001-ზე მეტია, მაგრამ ნაკლებია 57001 ქულაზე, განისაზღვრება 50 ლარით ოჯახის ყველა წევრზე;

ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაც 57001-ზე მეტია, მაგრამ ნაკლებია 60001 ქულაზე, განისაზღვრება 40 ლარით ოჯახის ყველა წევრზე;

ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაც 60001-ზე მეტია, მაგრამ ნაკლებია 65001 ქულაზე, განისაზღვრება 30 ლარით ოჯახის ყველა წევრზე;

ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაც 100001-ზე ნაკლებია, განისაზღვრება 10 ლარით ოჯახის თითოეულ 16 წლის ასაკის წევრზე.

# მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების საახალწლო პერსონაჟები

ხიზირ-ილიასი

*ახალი წელი ჩვენთვის წარმოუდგენელია თოვლის პაპის თუ ბაბუის, ინგლისურენოვანი ქვეყნები — სანტა კლაუსის და მისი ირმის რუდოლფის, ფინეთი კი იოლიპუკის გარეშე. სხვა ქვეყნებში საახალწლო საჩუქრები სხვა საახალწლო პერსონაჟებს მოაქვთ პატარებისთვის და... დიდებისთვისაც...*

## ბაბუა მიკულაში და ბაბუა ეჟიჩეკი

ყველაზე ადრე საშობაო საჩუქრებს ჩეხი და სლოვაკი ბავშვები იღებენ. ბაბუა მიკულაში სტუმრად 5 დეკემბრის ღამეს მოდის, წმ. ნიკოლოზის დღის გათენებამდე. ცნობილია, რომ მას გრძელი, წითელი მოსასხამი აცვია, თავზე მაღალი ქუდი ახურავს და ხელში კვერთხი უჭირავს, ხოლო საჩუქრებით სავსე ტომრის ნაცვლად ზურგზე ყუთი აქვს მოკიდებული. ითვლება, რომ ამ კეთილ ჯადოქარს მოგზაურობაში თან ახლავს ფრთათეთრი ანგელოზი და გაბურძგნილი ეშმაკი. ისინი კარნახობენ მოხუცს, რომელი ბავშვი იქცეოდა კარგად და ვინ დაიმსახურა საჩუქარი. პატარებმა კარგად იციან, რომ თუ წმინდა მიკულაშს სიმღერას უმღერებენ ან ლექსს ეტყვიან, კეთილი მოხუცი მათ საჩუქარს მაინც მიუტანს, მიუხედავად იმისა, რომ ცუდად იქცეოდნენ.

მეორე თოვლის ბაბუაა ეჟიჩეკი, რომელიც სტუმრად 25 დეკემბერს მიდის. მის შესახებ არაფერია ცნობილი, რადგან არავის უნახავს. ერთი ლეგენდის თანახმად, იგი მიკულაშის ძმაა. ეჟიჩეკი ცდილობს, რომ ვერავინ დაინახოს, როცა საჩუქრებს ტოვებს. მხოლოდ ზანზალაკების ხმა ამცნობს ადამიანებს მის მობრძანებას.

მილუკაში

ბობო ნატალე და ფერია ბეფანა

## ბაბო ნატალე და ფერია ბეფანა

იტალიაში, ისევე, როგორც ევროპის ბევრ ქვეყანაში, ორი თოვლის ბაბუაა, რომელთაგან ერთი შობაზე მობრძანდება, მეორე კი — 6 იანვარს. ახალ წელს იტალიაში დიდი ზარ-ზეიმით არ აღნიშნავენ, არც საჩუქრებს ჩუქნიან, მიღებულია სტუმრად სუფთა წყლის მიტანა.

იტალიელ თოვლის ბაბუას ბაბო ნატალე ჰქვია, რაც საშობაო მამას ნიშნავს. მისი წარმოშობის შესახებ ორი ლეგენდა არსებობს. ერთის მიხედვით, ის წმიდა ნიკოლოზთან არის დაკავშირებული, რომელიც ჩვ.წ. აღ-მდე III ს-ში ცხოვრობდა.

მეორე ვერსიის თანახმად, საშობაო ზღაპრული ჯადოქარი ამერიკელებისგან არის ნასესხები. იგი მართლაც ცოტათი თუ განსხვავდება სანტა კლაუსისგან — ისიც ჩასუქებული ასაკოვანი მამაკაცია, რომელსაც თეთრი ბეწვით გაწყობილი წითელი სამოსი აცვია, აქვს ჭაღარა წვერი და ზოგჯერ სათვალესაც ატარებს. ბაბო ნატალეც სანტა კლაუსის მსგავსად ჰაერში მოგზაურობს მარხილით, რომელშიც ირმებია შებმული და სახლებში საკვამურიდან ჩადის.

იტალიელი თოვლის ბაბუა მხოლოდ იმ ბავშვებთან მიდის, ვინც წინასწარ დაუწერა მას წერილი საკუთარი სურვილის შესახებ — ამისათვის ქუჩებსა და მაღაზიებში სპეციალურ საფოსტო ყუთებს დგამენ წერილებისთვის.

6 იანვარს კი ბავშვები სტუმრად ფერია ბეფანას ელიან. იგი გამოსახულია, როგორც ცოცხზე გადამჯდარი მოხუცი ქალი მოკაუჭებული ცხვირითა და დიდი კბილებით. ზურგზე მას საჩუქრებით სავსე ტომარა აქვს მოკიდებული. ლეგენდის მიხედვით, იგი სახლში საკვამურიდან შედის. სხვა გადმოცემის თანახმად კი, მას პატარა ოქროს გასაღები აქვს, რომლითაც ყველა კარის გაღება შეუძლია.

## მელქიორი, ბალთასარი, გასპარი და ოლენცერო

ესპანელ ბავშვებთან სტუმრად ახალ წელს თოვლის ბაბუის ნაცვლად სამი მეფე მოდის, რომლებსაც ჩვენ მოგვებს ვუწოდებთ — ბიბლიაში აღწერილი სამი ყველაზე უძველესი პერსონაჟი.

6 იანვარს, სამი მეფის დღის წინა საღამოს მთელ ესპანეთში სადღესასწაულო სვლა იმართება, რომლის დასასრულსაც სამივე მეფე (მელქიორი, ბალთასარი და გასპარი) ამბობს, რომ საჩუქარს ყველა ბავშვი მიიღებს. ამის შემდეგ მიათთვის განკუთვნილ ტახტზე სხდებიან, რომლებიც ქალაქის ცენტრშია განთავსებული და ყველა ბავშვს საჩუქარს ჩუქნიან.

ამ დროს, ბასკეთში, ნავარას პროვინციაში დამჯერ ბავშვებს საჩუქრებს ადგილობრივი თოვლის ბაბუა ოლენცერო ჩუქნის. ერთი ლეგენდის მიხედვით, ის გოლიათების შთამომავალია და მან პირველმა ამცნო ადამიანებს იესოს დაბადება.

მეორე ლეგენდის მიხედვით კი ოლენცერო ფერიამ იპოვა და მოხუც წყვილს მიუყვანა. მშობლების გარდაცვალების შემდეგ მან ბავშვებისთვის სათამაშოების კეთება დაიწყო, რათა გაეხარებინა ისინი. იგი ხანძრის დროს დაიღუპა, როდესაც ბავშვები გამოჰყავდა ცეცხლიდან და ფერიამ მას მერე სიცოცხლე აჩუქა. ამ შავწვერა კეთილ მსუქანას გემრიელი საჭმელები უყვარს და არასოდეს ამბობს უარს ჭიქა ღვინოზე.

## იოლასვეინარები

ისლანდიელი იოლასვეინარებს არაფერი აქვთ საერთო თოვლის პაპასთან და სანტა კლაუსთან. ლეგენდის მიხედვით, გოლიათ გრილასა და უსაქმურ ლეპალუდის 13 ვაჟიშვილი გაუჩნდათ, რაც საშობაო ძმებს ან საშობაო ბიჭებს ნიშნავს.

ლეგენდის მიხედვით, დედილო გრილის ვაჟების შობამდე, 12 დეკემბერს გაჩნდნენ და ყველაფერს აფუჭებდნენ, აურზაურს აწყობდნენ, ყირაზე გადადიოდნენ და ზოგჯერ ბავშვებსაც იტაცებდნენ. მათი შიშით ყველა ისლანდიელი ბავშვი კარგად იქცეოდა.

დროთა განმავლობაში იოლასვეინარების გარეგნობა შეიცვალა და ახლა ეს კეთილი გნომები დამჯერ ბავშვებს ფეხსაცმელებში ერთს კი არა, ცამეტ საჩუქარს უტოვებენ, ურჩი ბავშვები კი საჩუქრად კარტოფილს ან კენჭს იღებენ.

## საგაცუ-სანი და ოძი-სანი

იაპონიაში ახალ წელს გრიგორიანული კალენდრით აღნიშნავენ, რომელიც ამომავალი მზის ქვეყანაში 1873 წელს მიიღეს, თუმცა ტრადიციულად, იაპონური ახალი წელი ჩინურს ემთხვევა და 21 იანვრიდან 21 თებერვლის პერიოდს მოიცავს. იაპონელებს ახალი წლის მოსვლას ზარის 108 დარეკვა ამცნობს.

საგაცუ-სანს ან ბატონ ახალ წელს მწვანე ან ცისფერი კიმონო აცვია. ლეგენდის თანახმად, იგი საკუთარ სახლს ტოვებს ქალაქ შიოგამაში, კუნძულ ჰონსიუზე და იაპონიაში მოგზაურობას იწყებს. საგაცუ-სანი საჩუქრებს არ ჩუქნის, იგი უბრალოდ ყველას ულოცავს ახალ წელს.

იაპონელების რწმენით, 31 დეკემბერსა და 1 იანვარს იაპონიის მცხოვრებლებს ბედნიერების შვიდი ღმერთი სტუმრობს, რომლებიც აქ ჯადოსნური ხომალდით მოდიან.

მეორე თოვლის ბაბუა, ოძი-სანი, შედარებით „ახალგაზრდაა“. იგი სანტა კლაუსის იაპონური ვარიანტია. ოძი-სანი ზღვით მოგზაურობს და კუნძულების ყველა მცხოვრებისთვის მოაქვს საჩუქრები. პატარა იაპონელები სწორედ ოძი-სანს წერენ წერილებს თავიანთი სურვილების შესახებ.

## ხიზირ-ილიასი

მუსულმანურ ქვეყნებში ერთდრულად ორ ახალ წელს აღნიშნავენ. პირველი აღინიშნება მუხარამის პირველ დღეს, მაგრამ, რადგან ისლამურ ქვეყნებში მთვარის კალენდარს იყენებენ, დღესასწაული 11 დღით წინ გადადის. მეორეს ჰედერლეზი ჰქვია და მესაქონლეობის ახალი წლის სიმბოლოა (აღინიშნება გრიგორიანული კალენდრით 6 მაისს). თოვლის ბაბუას აქ ხიზირ ილიასი ჰქვია და კეთილი და მორწმუნე ადამიანების სახლებში მიდის მაისის დასაწყისში.

**„საერთო გაზეთისა“ და მისი მრავალრიცხოვანი მკითხველების სახელით დაბადების დღეს ვულოცავთ ბრწყინვალე ჟურნალისტს და პუბლიცისტს, შესანიშნავ ადამიანს, ნაღდ მამულიშვილსა და პატრიოტს**

**გელა ზედელაშვილს**

**და ვუსურვებთ შემოქმედებით წარმატებებს, ჯანმრთელობას, ბედნიერებას და ყოველივე საუკეთესოს თავის საყვარელ ადამიანებთან ერთად.**

**„საერთო გაზეთი“**

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი“
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
გამომცემელი და მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
სარედაქციო კოლეგია: გელა ზედელაშვილი, ირანდა კალანდაძე (რედაქტორის მოადგილე), თამარ შველიძე, ნელი თორდია, მარიამ ჯანჯღავა, გია ბურდული, ნატო ივანიაძე, ლევან ბოჭორიშვილი (კომპ. უზრუნველყოფა), ბელა გველესიანი, მთვარისა კევლიშვილი, თამარ დოლიძე (კონსულტანტი), ბესიკ ცარციძე (მენეჯერი 599 58-72-50).

მის: თბილისი, ტაშკენტის ქ.18;
ტელ.: 593 44-04-01; 593 56-11-18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertogazeti.ge
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1
2 008311 231562

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99